

2008

გენი არჩევანი - გენი ფინსვლაა



Foundation for Development of
Human Resources



Institut für Internationale Zusammenarbeit
des Deutschen Volkshochschul-Verbandes

**შენი არჩევანი -
შენი დინსკლაა**

თბილისი 2008

Title in English:

Your choice is your advance. A guidebook.

Tbilisi 2008

Prepared and published with the financial support of the institute for International Cooperation of the German Adult Education Association (***dvv international***) – Project Office Tbilisi/Georgia.

Data collected and edited by **FDHR**.

Project director: Ludmilla Klotz

ცენტრი მოზაფლა და გამოიცა სახალხო უნივერსიტეტია
გერმანული ასოციაციის (***dvv international***) თბილისის პროექტია
ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით

მასალები ცენტრისთვის შეაგროვა და დაამუშავა
ადამიანის რესურსების განვითარების ფორმა.

პროექტის ხელმძღვანელი: ლიუდმილა კლოტცი

© dvv international, 2008

კომპიუტერული სამუშაოები: მიხეილ სინიცა

დაიბეჭდა და აიკინდა: შპს “საარი”

ISBN 978-99940-67-80-0

შინაარსი

შინასიტყვაობა	5
ნაწილი 1. შესავალი ინფორმაცია.....	
1.1 პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიტუაცია - საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა.....	7
1.2 შენი არჩევანი	13
ნაწილი 2. საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროგრამები	
2.1 საქართველოს პროფესიული სწავლების ცენტრებში მოსამზადებელი სახელობო პროფესიების ნუსხა	19
2.2 სახელობო პროფესიების მოკლე აღწერილობა.....	21
2.3 სახელობო საგანმანათლებლო დაწესებულებები.....	35
ა. საჯარო პროფესიული სწავლების ცენტრები	35
ბ. არასახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	69
2.4 პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით მოსამზადებელი სპეციალობების ნუსხა	80
2.5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	82
ნაწილი 3. სასარგებლო ინფორმაცია.....	
3.1 პროფესიული განათლების მოკლე ტერმინოლოგია.....	90
3.2 სასარგებლო ინტერნეტ მისამართები.....	93

„კეთილდღეობა ყველგან და ყოველთვის დამოკიდებულია ორ პირობაზე: ყოველგვარი საქმიანობის საბოლოო მიზნის სწორად განსაზღვრასა და მის მისაღწევად შესაფერი საშუალებების შერჩევაზე“.

არისტოტელე

ტინასიტყვაობა

სწრაფად ცვლად საზოგადოებასთან მისი თითოეული წევრის შეგუების აუცილებელი პირობაა საკუთარი ცხოვრებისა და კარიერის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის გზით თვითგანვითარების უნარი. ეს უნარი ადამიანს საშუალებას აძლევს გააკეთოს გაცნობიერებული და საუკეთესო არჩევანი მრავალ შესაძლებლობას შორის და დაგეგმოს საკუთარი ცხოვრების გზა. საამისოდ კი ძალზე მნიშვნელოვანია კარიერული ინფორმაცია, ანუ სტრუქტურირებული მონაცემები განათლების, შრომის ბაზრის, პროფესიებისა და მათი ურთიერთკავშირის თაობაზე.

წინამდებარე ცნობარის შექმნა საქართველოში პროფესიული კონსულტაციისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემის შექმნის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია. ამ პროცესში წამყვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლი, რომელიც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, (მათ შორის dvn international, IOM და FDHR) ხელს უწყობს პროფესიული განათლებისა და პროფესიული გადამზადების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას, პროფესიული საკონსულტაციო მომსახურებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის დანერგვას.

ცნობარის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის გაცნობიერება არა აკადემიური უმაღლესი განათლების, არამედ სახელობო განათლებისა და პროფესიული უმაღლესი განათლების მიღების დღევანდელ შესაძლებლობებზე. ეს ეხება იმ პროფესიებსა და სპეციალობებს, რომლებზეც საღლეისოდ, მაღალია მოთხოვნა შრომის ბაზარზე და რომლებზეც, ამავე დროს, შეინიშნება კვალიფიციური და გამოცდილი კადრების ნაკლებობა. კერძოდ, ესაა ტექნიკური მომსახურების (მკერავი, მშენებელი, ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი, შემძლებელი, ავტომექანიკოსი და სხვა), სარესტორნო და სასტუმრო მომსახურების (მზარეული, ოფიციანტი, ბარმენი, დასუფთავების სპეციალისტი და სხვა), ვაჭრობის (სასურსათო და არასასურსათო საქონლის გამყიდველი), ასევე, სოფლის მეურნეობისა და აგრარული ტურიზმის პროფესიები.

ცნობარი, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია მოზარდებისათვის, რომლებიც ამთავრებენ საბაზო ან საშუალო სკოლებს. სწორედ მათთვის, ვინც ახლა იწყებს ცხოვრების გზის გაკვალვას; ვისთვისაც დადგა უამი ამ დიდ გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისა. მათ წინაშე დიდი კითხვის ნიშანია: რომელი პროფესია აირჩიონ, სად გააგრძელონ სწავლა სკოლის დამთავრების შემდეგ.

ცნობარი სასარგებლო იქნება ზრდასრული მოსახლეობისთვისაც, რამდენადაც ახალი პროფესიული სწავლების ცენტრები ითვალისწინებენ მათ პროფესიულ მომზადება-გადამზადებასაც; ყოველ ადამიანს ექმნება შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, აიმაღლოს კვალიფიკაცია, მიღლოს ოფიციალურად აღიარებული სერტიფიკატი კონკრეტულ პროფესიაში,

დაუფლოს ახალ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ცნობარი მათ მიაწვდის ინფორმაციას ზრდასრულთა პროფესიული განათლების სფეროში საქართველოში არსებული შესაძლებლობების შესახებ.

ცნობარის შესავალ ნაწილში მკითხველი მიიღებს ინფორმაციას პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ევროპულ ქვეყნებში თანამედროვე ცვლილებებისა და საქართველოში მიმდინარე რეფორმების თაობაზე.

ძირითად დოკუმენტურ ნაწილში უფრო დაწვრილებით არის მოცემული ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ სახელობო განათლებისა და გადამზადების, ასევე, პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებს.

საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2007 წლის განმავლობაში შეიქმნა პროფესიული სწავლების ცენტრები, რომლებიც მთლიანად განახლებულია და აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

ცნობარში წარმოდგენილია ინფორმაცია ზოგიერთი კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციის თაობაზე, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ სახელობო მომზადება-გადამზადების კურსებს.

ცნობარში, ასევე, შეხვდებით ინფორმაციას სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თაობაზე, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ მიიღონ პროფესიული უმაღლესი განათლება შრომის ბაზაზე მოთხოვნად მთელ რიგ სპეციალობებში და მიიღონ დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია.

ნატილი 1. შესავალი ინჟორმაცია

1.1. პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიტუაცია - საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა

განათლების სფეროში ევროპული თანამშრომლობის ახალ საფეხურს საფუძველი ჩაუყარა ე.წ. ბოლონიის დეკლარაციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წელს ევროპული კომისიის მიერ. შემდეგ, 2000 წლის მარტში ლისაბონში, ევროპული საბჭოს სხდომაზე განათლება ოფიციალურად იქნა აღიარებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად.

ლისაბონში მიღებულ დეკლარაციაში განათლება განხილულია, როგორც მსოფლიო მასშტაბით ევროპის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ევროკავშირის ქვეყნების გაერთიანებისა და მათი მოქალაქეების სრულფასოვანი განვითარების საშუალება.

ევროპის საბჭომ თავის სტრატეგიულ მიზნად დაისახა ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის გადაქცევა ცოდნაზე დაფუძნებულ, დინამიურად განვითარებად ეკონომიკად. ამ სტრატეგიის განუყოფელ და უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქნა მიჩნეული მაღალხარისხიანი პროფესიული განათლებისა და მომზადების სიტუაციის ჩამოყალიბება.

ამ სტრატეგიის ფარგლებში 2001 წლის ნოემბერში ევროკომისიამ მიიღო „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონცეფცია“ (Life Long Learning), რომელიც განსაზღვრავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპებს. კონცეფცია ზრდასრული მოსახლეობის განათლებას განიხილავს, როგორც განათლების სისტემის განუყოფელ ნაწილს. ამ დოკუმენტის საკუთრო მოთხოვნებია:

- ახალი საბაზო კვალიფიკაციების ხელშეწყობა (საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა, უცხოური ენების ცოდნა, მეწარმეობა და სოციალური უნარ-ჩვევები);
- ინკუსტიციების ზრდა ადამიანური რესურსების განვითარებისათვის;
- სწავლებისა და სწავლის ახალი მეთოდების გამოყენება;
- არაფორმალური და ინფორმალური (სპონტანური) განათლების საყოველთაო აღიარება;
- პროფესიის არჩევასა და განათლების შესაძლებლობების თაობაზე ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის კონსულტაციების სისტემის გაუმჯობესება;
- განათლების მიღების შესაძლებლობების მიახლოება მოსწავლეთა საცხოვრებელ ადგილებთან, ანუ „ადგილებზე სწავლის შესაძლებლობების შექმნა“.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგია გამიზნულია შრომის ბაზარზე მობილობის გაუმჯობესებისათვის. ამ სტრატეგიას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების ამაღლებისა და მოქალაქეთა თვითონაზადებისათვის.

სამუშაო პროგრამაში „განათლება და სწავლება 2010“, რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის მარტში, ბარსელონაში, დაკონკრეტდა ევროკავშირის სტრატეგიული მიზნები.

პროფესიული განათლების სფეროში ევროკავშირის დამფუძნებელ დოკუმენტად იქცა ევროკომისიასა და ევროპული ქვეყნების განათლების მინისტრების დეკლარაცია თანამშრომლობის თაობაზე, რომელიც მიღებულ იქნა კოპენჰაგენში, 2002 წლის ნოემბერში.

სწორედ ამ დოკუმენტმა ჩაუყარა საფუძველი ე.წ. „პოპენპაგენის პროცესი“, რომლის ძირითადი მიზნებია:

- პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბება;
- კვალიფიკაციათა გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების აღიარების პრობლემის გადაწყვეტა (ერთიანი ჩარჩოს შექმნა გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად);
- საკრედიტო ერთეულების გადატანის ერთიანი სისტემის შექმნა (მათ შორის კვალიფიკაციათა დონეების შედარებისა და სერტიფიკაციის საერთო პრინციპების შემუშავება);
- არაფორმალური და სპონტანური განათლების აღიარების საერთო პრინციპების ჩამოყალიბება.

ევროკავშირის განსაკუთრებული ყურადღება პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობისაკენ, განპირობებულია არა მხოლოდ ზოგადი მიზნით - დაჩქარდეს გადასვლა ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაზე, არამედ იმის გაცნობიერებითაც, რომ განათლებასა და მომზადებაში ჩაღებული ინვესტიციები არ არის საკმარისი და ჯერ კიდევ არასაქმარისად გამოიყენება არსებული ადამიანური რესურსები.

ზოგადად, ევროკავშირის ქვეყნებში პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები მოიცავს:

- უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებას;
- მის ფორმირებასა და რეალიზაციაში სოციალურ პარტნიორთა მონაწილეობას (სახელმწიფო, კერძო კომპანიები - ფირმები, საგანმანათლებლო დაწესებულები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები);
- დაყრდნობას პრაქტიკაში უკვე დაგროვილ გამოცდილებაზე, ასევე, ექსპერიმენტულ პროგრამებსა და პროექტებზე;
- დასახული მიზნის მისაღწევად ახალი მიღვომებისა და გზების განხილვაში ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობას;
- ინტეგრაციული პროცესების წახალისებას;
- განათლების ყველა საფეხურზე რეფორმის პროცესში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონცეფციის, როგორც სტრატეგიის საკვანძო კომპონენტის, სრულ ინტეგრაციას.

უმაღლესი განათლების სისტემაში, ე.წ. ბოლონიის პროცესის ფარგლებში, უკვე აქტიურად მიმდინარეობს უმაღლესი განათლების შესახებ დოკუმენტების ურთიერთაღიარების პროცესი.

ბოლონიის პროცესი, მიუხედავად ობიექტური სირთულეებისა, აქტიურად ვითარდება და ამას ხელს უწყობს ევროკავშირსა და საქართველოში უმაღლესი განათლების საფეხურებისა და კვალიფიკაციების შედარებითობა.

უფრო რთულადაა საქმე პროფესიულ განათლებაში. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა სახის პროფესიული განათლების სისტემები, რის გამოც ისინი მნელად შესაძარებელია. სწორედ ამიტომაც საქართველოს პროფესიულ განათლებაში დაწყებული რეფორმები მიმართულია ამ სფეროში ევროკავშირის მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოებისკენ, ქვეყნის საყოველთაო და ეკონომიკური განვითარების მიზნით ადამიანური რესურსების ეფექტინად გამოიყენებისა და პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობის გაძლიერებისკენ.

საქართველოში არსებული სიტუაცია

მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც თან სდევდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს ჩვენს ქვეყანაში, ფეთქებადმა შიდა კონფლიქტებმა, გამოიწვია მრავალი მწვავე სოციალური პრობლემა. იმ გარემოებამ, რომ დიდი რაოდენობით დახურა სამრეწველო საწარმოები და ამასთანავე, შემცირდა ინვესტიციები განათლებაში, განსაკუთრებულად უარყოფითად იმოქმედა პროფესიული განათლების სისტემაზე. ფუნქციონირება შეწყვიტა პროფესიული სასწავლებლების დიდმა ნაწილმა; სხვებმა სცადეს გადარჩნის გზების ძიება ფასიანი სასწავლო კურსების შემოღებით, მაგ. კომპიუტერული პროგრამები, საბუღალტრო კურსები და სხვა. გაწყდა ადრე არსებული კავშირები სამრეწველო საწარმოებთან, სწავლება არ შეესაბამებოდა საბაზრო ეკონომიკის ახალ მოთხოვნებს. ეს ყველაფერი არ უწყობდა ხელს საზოგადოებაში განათლების ამ ტიპის ისედაც, უარყოფითი იმიჯის გაუმჯობესებას. ამ სახის განათლებამ საბოლოოდ დაკარგა მიმზიდველობა მოსახლეობაში.

პარალელურად, სულ უფრო იზრდება ბაზრის მოთხოვნა ცალკეული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ეს თვალსაჩინოა განსაკუთრებით ისეთ კვალიფიკაციებზე, როგორიცაა, მაგ. მშენებელი, სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, ასევე, მომსახურების, სასტუმრო და სარესტორნო საქმის სპეციალისტები, საოჯახო პერსონალი და სხვა. მათი ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და კონკურენტუნარიანობას.

სწორედ ამიტომ, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმები მნიშვნელოვანია არა საკუთრივ განათლებისა და მომზადების, არამედ ადამიანური რესურსების, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ძირითადი კაპიტალის, განვითარების თვალსაზრისით. ნებისმიერი ეკონომიკის შემდგომ განვითარება ხომ ძირითადად დამოკიდებულია შრომითი რესურსების ხარისხზე.

უკანასკნელ დრომდე საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი ცდილობდა ნებისმიერი გზით ჩარიცხულიყო უმაღლეს სასწავლებელში; რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მიეღო უმაღლესი განათლების დიპლომი, თუმცა ეს დიპლომი არ იძლეოდა შრომითი მოწყობის გარანტიას. ერთი კი იყო, უმაღლეს სასწავლებელში სწავლა რამდენიმე წლით აჭიანურებდა რეალურ დაუსაქმებლობასთან შეჯახების მომენტს და ამავე დროს, წარმოადგენდა 16 წლის ასაკში „ქუჩაში დარჩენის“ საუკეთესო ალტერნატივას. ახალგაზრდების მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი, სკოლიდან გამოსვლის შემდეგ, რჩებოდა ყოველგვარი განათლების, ყოველგვარი პროფესიული მომზადების გარეშე. მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი აგრძელებდა სწავლას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომელთა ერთი ჯგუფი გარდაიქმნა პროფესიულ ლიცეუმებად, თუმცა იძლეოდა პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას. ასეთი სიტუაცია სხვადასხვა მიზეზებით იყო განპირობებული:

1. საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან პროფესიულ-ტექნიკური განათლება ითვლებოდა არაპრესტიულად და ნაკლებად იზიდავდა ახალგაზრდობას მოსახლეობის საშუალო ფერნებიდან;
2. პროფესიულ სასწავლებლებში საერთო პირობები, სწავლება ძველი პროგრამებით არ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს, ეფუძნებოდა ძირითადად თეორიულ ცოდნას, რადგან თითქმის არ არსებობდა პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობები.

სიტუაცია ევროპულ ქვეყნებში

სხვაგვარი მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებში. პროფესიული განათლების პოპულარობა ამ ქვეყნებში თვალნათლივ უკავშირდება ეკონომიკის განვითარების ისტორიულ ტრადიციებს, ქვეყნის ჩამოყალიბებულ კულტურასა და მოსახლეობის მეწარმეების. მაგალითად, გერმანულენოვან ქვეყნებში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან არსებულმა ხელოსნობის ტრადიციებმა განაპირობა ამ სახის მომსახურების მაღალი ხარისხი და შესაბამისად, ტექნიკური პროგრესი. საზოგადოებაში მაღალი და აღიარებულია დარგობრივი სახელოსნო პალატების სტატუსი, რაც განაპირობებს მათ მნიშვნელოვან გავლენას განათლების პოლიტიკაზე. პალატები ტრადიციულად, აქტიურად მონაწილეობენ პროფესიული და სასწავლო სტანდარტების დადგენაში, ამუშავებენ პროგრამებს ახალ პროფესიებში, მონაწილეობენ მოსწავლეთა გამოსაშვებ გამოცდებში, აფასებენ მათ მომზადებას პროფესიაში და ვარგისიანობას შრომის ბაზარზე. შესაბამისად, ამ ქვეყნებში პროფესიული განათლება ხორციელდება საწარმოო და სახელოსნო საწარმოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უმეტესად კი, სწავლება მიმდინარეობს პირდაპირ მომავალ სამუშაო ადგილზე. პროფესიულ სკოლაში მოსწავლები ატარებენ კვირაში მხოლოდ ერთ ან ორ დღეს, სადაც იღებენ თეორიულ ცოდნას სპეციალობაში. ამ ქვეყნებში, ტრადიციულად, ძალზე მაღალია პროფესიული განათლების პრესტიჟი. კვალიფიკაციურ სპეციალისტთა შემოსავლისა და ხელფასების დონე კი - არაფრით ჩამორჩება უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შემოსავალს.

სხვა ტრადიციებია სამხრეთ ევროპის ქვეყნებში. პროფესიული მომზადება ხორციელდება პროფესიული მომზადების ცენტრებში, რომლებიც იმგვარადაა აღჭურვილი, რომ ადგილზე შესაძლებელია პრაქტიკული სწავლება და თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში.

დაახლოებით ანალოგიური მოდელი მკვიდრდება ამჟამად საქართველოშიც. მართალია, ახლად შექმნილ პროფესიული სწავლების ცენტრებში სასწავლო ადგილების რაოდენობა ჯერ კიდევ არასაქმარისია იმ ახალგაზრდების მოთხოვნების სრულად დასაქმაყოფილებლად, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლებენ სწავლის გაგრძელებას პროფესიულ უმაღლეს ან აკადემიურ განათლებაზე, მაგრამ ცენტრების ქსელის დაგეგმილი გაფართოებით, შესაძლებელი გახდება პროფესიათა ფართო სპექტრში ხარისხიანი განათლების შეთავაზება.

საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის ძირითადი აქცენტები

რეფორმის უმთავრესი ამოცანაა პროფესიული განათლების ადაპტაცია ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სოციალურ პარტნიორთა აქტიური მონაწილეობით, რომლებსაც სახელმწიფო უწყებებთან ერთად წარმოადგენენ, უპირველესად, კერძო კომპანიები შრომითი რესურსების დამკვეთის როლში, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამდენად, სოციალური პარტნიორობის როლი პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში მუდმივად უნდა მაღლდებოდეს.

რას ნიშნავს განათლების მიახლოება შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებთან?

ეს ნიშნავს, რომ მომავალ სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები უშუალოდ უნდა იქნეს შეთანხმებული შესაბამისი დარგის კერძო საწარმოთა წარმომადგენლებთან, გარკვეული პროფესიის სპეციალისტებთან. საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შინაარსის საფუძველს

წარმოადგენს პროფესიული სტანდარტები, რომლებშიც კონკრეტულად არის აღწერილი ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელთა დაუფლება აუცილებელია მომავალი სპეციალისტისათვის.

პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში, ასევე, აუცილებელია სხვა სახის პროფესიული საქმიანობისათვის ზრდასრული მოსახლეობის ფართო ფენების გადამზადების ფუნქციის ჩართვა. ასეთი მიღომა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული ჯგუფების დასაქმებისა და სოციალური ინტეგრაციის პრობლემის გადაწყვეტას.

ახლა იმის თაობაზე, თუ რაში მდგომარეობს „ახალი მოთხოვნები“ შრომის ბაზარზე.

საბჭოთა გეგმიური ეკონომიკიდან მეტნაკლებად თავისუფალ ბაზრებსა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, არა მხოლოდ დაიხურა სახელმწიფო საწარმოთა უმეტესობა, რის შედეგადაც ადამიანებმა დაკარგეს სამუშაო; აღმოჩნდა, რომ სპეციალისტთა დიდი ნაწილი მოუმზადებელი და გამოუსადეგია შეცვლილი ახალი პირობებისათვის.

ტექნოლოგიური ცვლილებების პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პირობად იქცა ახალი გარემოსადმი შეგუების, შეცვლილ რეალობაში სხვა ადგილის პოვნის უნარი, რაც ნიშნავს მოქნილობას როგორც აზროვნებაში, ასევე, ქცევაში. კარგია, თუ ირგვლივ აღმოჩნდებიან ახლობლები, რომლებსაც დახმარების გაწევა შეუძლიათ. მაგრამ მთავარია, რამდენად შეესაბამება მათი წინადადებები და რჩევები კონკრეტული ადამიანის პიროვნულ თვისებებსა და ინტერესებს, მათ სურვილებს, უნარებსა თუ რეალურ შესაძლებლობებს, მათ კვალიფიკაციას? ბევრი ადამიანი არ აღმოჩნდა „თავის ადგილზე“, უბრალოდ, თავის გადარჩენის ან კარიერის მიზეზით; თუმცა ეს კიდევ უკეთესი შემთხვევებია; ბევრს ასეთ დროს სრული დაბნეულობა დაუუფლა და გაუჭირდა გზის გაკვლევა.

საკუთარი მდგომარეობის უკეთესობისაკენ შესაცვლელად, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია გაცნობიერებული და კრიტიკული თვითანალიზი. მოდით, საკუთარ თავს დავუსვათ ისეთი კითხვები, როგორიცაა, მაგალითად: როგორი ტიპის ადამიანი ვარ? რაში მდგომარეობს ჩემი ძლიერი მხარე? რა შემიძლია? რას ვაკეთებ სიამოვნებით და რა გამომდის ადვილად? რისთვის მაქებენ? რით შეიძლება აღმოვჩნდე სასარგებლო სხვებისთვის? რას ველი ცხოვრებისაგან? ჩემი უნარებით როგორ შეიძლება მივაღწიო დასახულ ამოცანებს, თუნდაც არა ახლავე? რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად, კიდევ რა უნდა ვისწავლო?

ასეთი მიღომა, მართლაც ითხოვს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მზაობასა და განვითარებას. იგი ასევე, ითხოვს გადაწყვეტილების მიღებისა და მათზე პასუხისმგებლობის აღების უნარსა და მისთვის მზაობას. ყოველივე ამას, ხელს უწყობს პოზიტიური აზროვნება, ყურადღების გამახვილება არა საკუთარი პიროვნების ან მთლიანად ცხოვრებისა და რეალობის უარყოფით მხარეებზე, არამედ იმ დადებით პოტენციალზე, რომელიც ამ ყველაფრის უკან იმაღება. ზემოთ ნათქვამის განზოგადებით, რომელიც ახსათებს ადამიანის სპეციფიურ დამოკიდებულებას საკუთარი თავისადმი, შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „პიროვნული კომპეტენციები“ (self competence an self management). სწორედ ისინი წარმოადგენენ ე.წ. საკვანძო კომპეტენციების საფუძველს. საკვანძოს კი იმიტომ უწოდებენ, რომ მათი როლი არსებითია ნებისმიერი სპეციალობითა და პროფესიით საქმიანობისათვის.

საკვანძო კომპეტენციების მეორე ნაკრები გაერთიანებულია **სოციალური კომპეტენციების** ცნებაში. მათ მიეკუთვნება საკომუნიკაციო უნარები, ანუ ურთიერთობა გარემომცველ სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან. ეს ნიშნავს სხვის მოსმენას, გარედან ინფორმაციის აღქმას და საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უნარს; სხვადასხვა სიტუაციებში და სხვადასხვა

ადამიანებთან ადექტურად ქცევის უნარს (ოჯახურ ურთიერთობებსა და სამუშაო ადგილზე, ხელქვეითებთან, კოლეგებთან, მაღალი რანგის პირებთან).

პიროვნულ და სოციალურ კომპეტენციებს ემატება მეთოდური კომპეტენცია, ანუ შეგნებული არჩევანის გაკეთების უნარი. ესაა რამე საკითხის ან ამოცანის გადაწყვეტისას შესაფერი და ადექტური მიღვომის უნარი. ძირითადი მეთოდური კომპეტენციაა სწავლის უნარი (learning to learn);

წმინდად პროფესიული კომპეტენციების გარდა, რაც მოიცავს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ერთ რომელიმე სპეციალობაში, სწორედ, ზემოთ აღნიშნული საკვანძო კომპეტენციები (პიროვნული, სოციალური, მეთოდური) განსაზღვრავენ ჩვენს დამოკიდებულებას არა მხოლოდ კონკრეტული საქმისადმი, სამუშაოსადმი, არამედ ზოგად მიღვომას ცხოვრებისა და გარემოსადმი.

პროფესიულ საქმიანობაში საკვანძო კომპეტენციების ფლობის დონე პირდაპირ აისახება მის შედეგებზე და განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს ან პროდუქციის ხარისხს. იგი, ასევე, ასახავს ადამიანის შრომისუნარიანობისა და პროდუქტიულობის დონეს. ზოგადად, ადამიანის საკვანძო კომპეტენციების დონე კი მის პროფესიულ კომპეტენციებთან ერთად, განსაზღვრავს ცხოვრებაში მოქმედების ინდივიდუალურ, პიროვნულ კომპეტენციებს.

დავუბრუნდეთ საკვანძო კომპეტენციებთან დაკავშირებით ჩვენი მიმოხილვის საწყის წერტილს. მათი მნიშვნელობა იზრდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ითხოვს გარემო ადამიანისაგან ცვლილებებთან შეგუების უნარს. საკვანძო კომპეტენციების განვითარების დონე კი, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქმიანობის ხარისხსა და მის პროდუქტიულობას. ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრების გზაზე ეს აისახება მის წარმატებებში. ეკონომიკის ენით, ამას შეიძლება ვუწოდოთ ადამიანური რესურსების ხარისხი.

დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია ის გარემოება, რომ პოსტ-ინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნებში სწორედ ადამიანური რესურსები წარმოადგენენ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური, ასევე, საერთო განვითარების მთავარ და გადამწყვეტი ფაქტორს.

გლობალიზაციის ფონზე, როდესაც მსოფლიო ბაზრები უკვე აღარ ცნობენ როგორც წარმოებული პროდუქციის, ასევე, სამუშაო მაღლის (ანუ ადამიანური კაპიტალის) საზღვრებს, ნებისმიერი სახალხო მეურნეობის (ნებისმიერი მაკროეკონომიკისათვის) განვითარებისა და წარმატებისათვის, გადამწყვეტია სწორედ ადამიანური რესურსების ხარისხის ფაქტორი.

მაგრამ როგორ შევძლოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკვანძო კომპეტენციების დაუფლება? სად შეიძლება მათი სწავლა? ამ კითხვებზე პასუხი მარტივი და ამასთანავე, კომპლექსურიცაა: ყველგან და ნებისმიერ დროს, ნებისმიერ გარემოებაში და ყველა ასაკში. სწავლის მეთოდები კი სრულიად სხვადასხვაგარი შეიძლება იყოს. მთავარია, სურვილი, შეცვალო შენი დამოკიდებულება მოცემულ სიტუაციასთან, შეცვალო მიღვომა საკითხთან; ეს კი ნიშავს არა უბრალოდ „დაყრდნობას რომელიმე „მასწავლებელზე“, არამედ საკუთარ გადაწყვეტილებას - აქტიურად მიიღო მონაწილეობა ცვლილებების პროცესში, თავად უხელმძღვანელო ამ პროცესს.

მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა ამ საკითხისადმი მიღვომის შემუშავებაში, შეუძლია პროფესიულ ორიენტაციასა და კონსულტაციას.

1.2 შენი არჩევანი

„ბავშვობაში ვის არ უოცნებია მომავალ პროფესიულ საქმიანობაზე: „კოსმონავტი გამოვალ“, „მძღოლი ვიქნები“, „სახლებს ავაშენები“, „ექიმი ვიქნები“ - ფანტაზიორობები პატარები. და მალე დება ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრებისა და განსჯის უამი; დრო, როდესაც უნდა გადაწყვიტო, საით წახვალ, რა გზას დადგები, რა სახის პროფესიულ საქმიანობას აირჩევ, რომ მომზადებული შეხვდე ზრდა-სრულ ცხოვრებას, წარმატებით გან-ვლო იგი და მიიღო ის

ნინო დაშნიანი – დალაქი

დავამთავრე ნიკოლაძის სახელობის სამსატვრო სასწავლებელი. მიღებული პროფესიონალი შეუძლებელი აღმოჩნდა ჩემი ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრი. ამიტომაც შევისწავლე პარიკმაჟერის პროფესია დალაქთან. რამდენიმე თვე ვმუშავე სალონში. ეს საქმიანობა კარგად გამომდიოდა და ამაში ზელს სამსატვრო განათლებაც მიწყობდა. მოვხვდი „Wella"-ს სემინარზე, სადაც ამირჩიეს ტრენინგ-მენეჯერად და სასწავლებლად გამიშვეს გერმანიაში. შემდეგ არაერთ ქვეყანაში მომიხდა საპარიგმახერო საქმის სიახლეების შესწავლა. მიღებულ ცოდნას გუზაიარებ კოლეგებს საქართველოში, ჯერ-ჯერობით ტრენინგ-მენეჯერის წოდება მხოლოდ მე გამარია.

გადაწყვეტილი მაქს, ჩემს შვილს სხვა სახის განათლებასთან ერთად მივაღებინო სახელობო განათლებაც, რადგან შეიძლება ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე იგი უფრო მეტად გამოადგეს.

ახალგაზრდებს ვურჩევ – ადრეული ასაკიდანვე აირჩიონ მათთვის საინტერესო ხელობა და სრულყოფილად დაუუფლონ მას. ეს ხელს არ შეუშლის მათ კარიერულ წინსვლას, პირიქით, გამდიდრებს, უფრო საინტერესოს და უზრუნველყოფილს გახდის მათ მომავალს.

არჩევისას?

შენი რომელი პიროვნული თვისებებია პროფესიულად ყველაზე მნიშვნელოვანი? როგორ შეიძლება ზედმეტი ძალისხმევისა და დაძაბულობის გარეშე მიაღწიო წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში, ისე, რომ კმაყოფილებაც მიიღო მისგან?.. შინაგანი სამყარო, მისი ინდივიდუალობა განსაზღვრავს ადამიანის განვითარებას და ბუნებრივია, გავლენას ახდენს პროფესიული არჩევანის გაკეთებაზეც.

პროფესიათა სამყარო მუდმივად ცვალებადია. საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების პროცესში პროფესიები იბადებიან, ბერდებიან და კვდებიან. განსაკუთრებულად თვალში საცემია ეს მოვლენა თანამედროვე პირობებში, როდესაც ჩვენს თვალწინ საზოგადოება გარდაიქმნა ცოდნისა და ინფორმაციის საზოგადოებად, ანუ როგორც მას უწოდებენ, ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებად.

კეთილ-დღეობა და უპირატესობა, რაც ადამიანისათვის მოაქვს პროფესიის სწორად და შენებულად არჩევას.

ძველი ჩინური ანდაზა ამბობს:

„სამი გზით შეიძლება დაბრძნდეს ადამიანი:

გამოცდილებით – ეს ყველაზე მწარე გზაა;

მიბაძვით – ეს ყველაზე იოლი გზაა:

დაფიქრებითა და განსჯით – ეს ყველაზე კეთილშობილური და ჭეშ-მარიტი გზაა.

დაფიქრება და განსჯა, ანალიზი და სწორი გადაწყვეტილების მიღება პროფესიის სწორად არჩევის საწინდარია.

რა ნიშნავს პროფესიის არჩევა?

შენებული და გაცნობიერებული პროფესიული არჩევანის გაკეთება ნიშნავს პასუხის გაცემას მნიშვნელოვან კითხვებზე:

რა უნდა გაითვალისწინო პროფესიის

სწორედ ცოდნის საზოგადოებაში მოგიწევთ ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა დღევანდელ ბავშვებსა და მოზარდებს. ასეთ საზოგადოებაში სამოქალაქო მონაწილეობისა და დასაქმებისათვის სასიცოცხლო გახდა ისეთი ცოდნა და უნარ-ჩვევები (კომპეტენ-ციები), როგორიცაა: მშობლიურ და უცხო ენებზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, მათემატიკური კომპეტენციები და მათი გამოყენება, კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, დამოუკიდებლად და მუდმივად სწავლის უნარი, პიროვნებათა შორის ურთიერთობების კულტურა, მოქალაქეობრივი კომპეტენციები, მეწარმეობა – იდეის საქმედ ქცევისა და საკუთარი აზრის კულტურულად გამოხატვის უნარი.

ამ კომპეტენციების განვითარება ადრეული ასაკიდან იწყება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება. „სწავლა სიბერემ-დეო“, ამბობს ბრძნული ქართული ანდაზა და სწორედ მას ესადაგება განათლების უახლესი პრინციპი „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“.

9 კლასის დასრულების შემდეგ, რომელიც კონსტიტუციურად სავალდებულოა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, თითოეული თქვენგანი არჩევანის წინაშე დგას:

1. შეგიძლიათ სწავლა გააგრძელოთ ზოგად-საგანმანათლებლო სკოლაში და 12 კლასის დასრულების შემდეგ მიიღოთ ზოგადი საშუალო განათლების ატესტატი, რომელიც გზას გიხსნით პროფესიული თუ აკადემიური უმაღლესი განათლებისაკენ.

2. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, სკოლაში სწავლის პარალელურად, შეგიძლიათ მიიღოთ სახელობო განათლებაც. ასეთ შემთხვევაში, 12 კლასის დასრულების დროისთვის ერთდროულად მიიღებთ ხელობის დამადასტურებელ სერთიფიკატს და ზოგადი საშუალო განათლების ატესტატს.

3. საბაზო ზოგადი განათლების (9 კლასი) მიღების შემდეგ, შეგიძლიათ შეწყვიტოთ სწავლა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სასწავლებლად გადახვიდეთ პროფესიული სწავლების ცენტრში და დაუფლოთ თქვენთვის სასურველ ხელობას. ასეთ შემთხვევაში, ზოგადი საშუალო განათლების მიღება შეგიძლიათ ექსტერნად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელობო განათლება და პროფესიული კვალიფიკაცია სწრაფი დასაქმების საშუალებას მოგცემთ. თუ მიღებული სახელობო განათლება იმ დარგობრივ სფეროს შეესაბამება, რომელსაც თქვენ აირჩევთ უმაღლეს განათლებაში სასწავლებლად, მაშინ ის თქვენი მაღალი

თემურ გუგეშაშვილი – ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი

მიღებული მაქს უმაღლესი პედაგოგიური განათლება. მერე აღმოგჩინე, რომ უფრო საინტერესო და მიმზიდველი იყო ჩემი წინაპრების პროფესია – ხეზე მუშაობა. უდიდესი სიამონებით გამომყავს ტელი ქართული ჩუქურთმები, ვამზადებ სხვადასხვა სახის ქართულ ტრადიციულ ავეჯს. ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას სიამონებით უზიარებ ახალგაზრდებს, ქართველებსა და არაქართველებს. ამაში მეხმარება პედაგოგიური განათლებაც. რამდენიმე თვეა ხის ქართულ ტრადიციულ დამუშავებას ვასწავლი კალიფორნიელ ახალგაზრდას, რომელიც დიდი ინტერესით ეუფლება ამ ხელობას და გადაწყვეტილი აქვს საკუთარ სამშობლოში გააგრძელოს ეს საქმიანობა.

ვურჩევ ახალგაზრდებს, რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან დაიწყონ ფიქრი სამობაგლო პროფესიის არჩევაზე, სწორად აირჩიონ იგი და ადრიდანვე დაუფლონ მათვის საინტერესო ხელობას.

რაჭაში, ონში, ვაპირებ კერძო სასწავლო სახელობნის გახსნას. სურვილი მაქს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაუუფლოს ქართულ ტრადიციულ ხელობებს, რაც ხელს შეუწყობს ამ დარგების აღორძინებას და ბევრ მათგანს მოუტანს წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში.

პროფესიონალიზმის საწინდარი შეიძლება გახდეს, რადგან პრაქტიკულად იქნებით მზად ამ სფეროში საქმიანობისათვის.

პროფესიული განათლების მნიშვნელობის საყოველ-თაო აღიარება დაკავშირებულია ტექნოლოგიურ ცვლილებებთან და დასაქმების შესაძლებლობების ამაღლებასთან. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმაც სწორედ მიზნად ისახავს ძველი, უსახური და ახალი პირობებისათვის სრულიად შეუსაბამო პროფესიულ-ტექნიკური განათლების შეცვლას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების მოთხოვების შესაბამისი, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების ახალი სისტემით.

როგორც თქვენთვის ცნობილია, იქნება ახალი ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, თანამდეროვე სტანდარტებით აღჭურვილი პროფესიული სწავლების ცენტრები, სადაც კვალიფიკაციის დაუფლება შეუძლია ყველა ადამიანს, ასაკის მიუხედავად.

ქართული უმაღლესი განათლების სივრცეში სრულიად ახალია პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამები. ასეთი პროგრამები წარმოადგენს უმაღლესი საბაკალავრო პროგრამების ნაწილს, მის საწყის დონეს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მიმდინარე წელს ამოქმედდა საქართველოს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საერთო უნივერსიტეტ „მეტეხში“ და სხვა. აბიტურიენტები პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, გამარტივებული წესით, მხოლოდ ზოგად უნარებში გამოცდების შედეგების მიხედვით.

პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად ორიენტირებულია შრომის სტუდენტთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ამგვარად, სახელობო და პროფესიული განათლება დაკავშირებულია ამა თუ იმ სფეროში მაღალი პროფესიონალიზმის მიღწევასთან, პროფესიულ დაოსტატებასთან.

პროფესიული განათლების საწყისი საფეხური - სახელობო განათლება, შეიძლება ასევე, განვიხილოთ, როგორც საბაზო ჩვენი მომავალი პროფესიისა და პროფესიული საქმიანობისთვის.

მერაბ ნადირაძე – ელექტრიკოსი

დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქადაგების ელექტროფიკაციის ფაკულტეტი. ჩემი საქართველობით ვიმუშავე გორის ქადაგებში, სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ჯერ რიგით ინჟინრად, შემდეგ კი უბნის უფროსად საქენერგოში.

ამჟამად ვეწევი კერძო სამეწარმეო საქმიანობას; ვაპირებ საკუთარი კერძო ფირმის გახსნას. ჩემმა პროფესიამ, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებამ და მუდმივა სწავლამ, მუშაობამ საკუთარ თავზე, ხელი შემიწყო პროფესიონალიზმის ამაღლებაში. მაღალი პროფესიონალიზმი კი ცხოვრებაში წარმატების საწინდარია. მინდა ახალგაზრდებს ვურჩიო, აირჩიონ მათვის საინტერესო და შესაფერი ხელობა და მუდმივი სწავლითა და შრომით მიაღწიონ დაოსტატებას.

„გუთანი, ადლი და ჩაქუჩი ისეთივე გმირული იარაღია ბუნებით გმირის ხელში, როგორც კალამი და მახვილი“ - წერდა დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც სიტყვით ძეგლი აუგო სვეტიცხოვლის შემქმნელებს, დიდოსტატ არსაკიძესთან ერთად, ქვისმთლელებსა და კირითხუროებს, კალატოზებსა და მელუდაბეებს.

„მაგრამ ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერასოდეს გახდება ოსტატი“ - ამასაც ამბობს ჩვენი საყვარელი მწერალი.

იქნებ ჯობდეს, ადრეული ასაკიდანვე ვცადოთ მივაგნოთ საკუთარ მოწოდებას, საკუთარ საქმეს, რომელიც შემდგომი ხანგრძლივი შრომისა და მუდმივი სწავლის საფუძველზე, დიდ საქმეებს გაგვაკეთებინებს.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად საკუთარი მოწოდების მიგნება, პროფესიის შეგნებული არჩევა, შემდეგ კი, მუდმივი სწავლა და მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო.

ამიტომაც, დროულად დაეუფლეთ თქვენთვის სასურველ ხელობასა და პროფესიას; საკუთარი კარიერის აგება ამ გზით დაიწყეთ. ევროპელი ახალგაზრდებისათვის ეს ნაცადი გზაა. მათი უმეტესი ნაწილი თავის კარიერას სწორედ დაწყებითი პროფესიული განათლებით იწყებს.

უახლოეს წლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში, ისევე, როგორც ამჟამად უმაღლეს განათლებაში, შესაძლოა განხორციელდეს ევროპული გაცვლითი პროგრამები, რაც დაკავშირებულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნასთან. პროფესიულ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ სწავლების ნაწილი გაიარონ სხვა ქვეყნის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს არც თუ შორეული პერსპექტივაა.

დადგა დაფიქრებისა და განსჯის, ინტერესებისა და მიდრეკილებების დაზუსტების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების, პროფესიის მოთხოვნებისა და პირადი შესაძლებლობების შეჯერების დრო. როგორც ფინანსობები გვირჩევენ, წარმატებული არჩევანის გაეთვა ითხოვეს: საკუთარ სურვილებში, ინტერესებსა და მიდრეკილებებში ზუსტად გარკვევას. საამისოდ დიდი ინფორმაციის მიღებაა საჭირო. მოიძიეთ მასალები საქმიანობის სხვადასხვა სახეების შესახებ.

დააკვირდით საკუთარ თავს. რა მოგწონთ, როგორი სამუშაო გაინტერესებთ? გაითვალისწინეთ, მაგრამ შემდგომ აუცილებლად გაანალიზეთ ოჯახის წევრების, მშობლების, მეობრეების აზრი. დაიხმარეთ ფინანსობები და პროფესიულტანტები, რომლებიც სერიოზულ დახმარებას გაგიწევენ ამ პროცესში. მაგრამ გახსოვდეთ, საკუთარი ინტერესებისა და მიდრეკილებების განსაზღვრაში ყველაზე კომპეტენტური თავად ხართ.

პროფესიების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა გზით შეიძლება მოიპოვოთ, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით.

შეადგინეთ საინტერესო პროფესიების ნუსხა. მერე კი დააზუსტეთ, რა საქმიანობას ეწევა ამა თუ იმ პროფესიის ადამიანი. კარგად დაფიქრდით იმაზე, თუ რა მოთხოვნებს უყენებთ მომავალ პროფესიას, რას ელით მისგან? მატერიალურ კეთილდღეობას? საზოგადოებრივ პრესტიჟს? პროფესიულ კმაყოფილებას? თუ ყველაფერს ერთად?

ამ ეტაპის გავლის შემდეგ, საჭიროა იმაზე დაფიქრება, თუ რამდენად შეესაბამება თქვენი გონიერივი თუ ფიზიკური შესაძლებლობები იმ საქმიანობას, რომელიც გაინტერესებთ?

პროფესიული არჩევანის გაკეთებისას ძალზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, სარგებლობს თუ არა თქვენს მიერ არჩეული პროფესია მოთხოვნით შრომის ბაზარზე? და თუ ეს ასეა, სასურველი პროფესიით დასაქმების და წარმატების მნიშვნელოვანი შანსი გაგიჩნდებათ.

მათა წერეთელი – სასტუმრო „Courtyard Marriott“-ის მენეჯერი

ჩემი კარიერა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ეპროპული ენგბისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ქართულ-ბერძნულ უნივერსიტეტ „მაკედონიაში“ დაიწყო. შემდეგ, სხვადასხვა დროს ვმუშაობდი ენის სწავლების ამერიკულ საბჭოში, ამერიკის საელჩოში, სადაც მექავა ჯერ კონსულის, შემდეგ კი - იურიდიული მრჩევლის თანაშემწის თანამდებობები. სასტუმრო „მარიოტისა“ და შემდეგ, „ქორთიარდის“ გახსნისათვის მზადების პერიოდში მიმიწვიეს კადრების დირექტორად. ეს სამუშაო ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის, რაც აისახა კიდეც ჩემს კარიერულ წინსვლაზე. ასე გავხდი სასტუმროს მართვის მენეჯერი, შემდგომ კი სასტუმროს მენეჯერი. მაქვს საინტერესო სამუშაო, რომელიც მანიჭებს კმაყოფილებას.

რას ვურჩევდი ახალგაზრდებს?

აირჩიონ პროფესია საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, თორემ ზშირად ხდება, რომ ადამიანი უმაღლეს სასწავლებელში ხუთი წელი სწავლის შემდეგ აღმოჩენს, რომ არასწორად აირჩია პროფესია, რომ ეს საქმიანობა მისთვის საინტერესო არ არის.

თუ სასტუმრო საქმისათვის საჭირო პროფესიების დაუფლებების გადაწყვეტენ, უმჯობესია ეს ცოდნა ეტაპობრივად მიიღონ. ჩვენთან ზშირად მოღიან უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები და პირდაპირ მენეჯერის თანამდებობას ითხოვენ, საამისო პრაქტიკული ცოდნა კი არ გააჩნიათ. პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ეტაპობრივი დაუფლება დაეხმარება მათ პროფესიულ წინსვლაში, მოკლე ვადაში დასაქმების შესაძლებლობების მიღებაში, პროფესიული ურთიერთობების დამყარებასა და კარიერის სწორად აგებაში. ამ გზით ადამიანმა შეიძლება დროულად გაარკვიოს, ეს მისი პროფესია თუ არა. და თუ აღმოჩნდა, რომ მისი პროფესიული არჩევანი სწორია, გააგრძელოს პროფესიული სრულყოფას გზა.

ჩვენ ახლო ურთიერთობები გვაქვს ტურიზმის სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მზად ვართ სტუდენტები სასწავლო პრაქტიკაზე ჩვენს სასტუმროში უშუალოდ სამუშაო აღგიღებზე გავატაროთ. ეს წელს შეუწყობს მათ ადაპტაციას პროფესიულ გარემოში და საუკეთესო საშუალება იქნება მათი პროფესიული დაოსტატებისათვის.

ნაზილი 2. საქართველოს პროფესიული საბანანათლებლო დაწესებულებები და პროგრამები

2.1 საქართველოს პროფესიული სწავლების ცენტრებში მოსამზადებელი სახელობო პროფესიების ნუსხა

აგრარული (სასოფლო-სამეურნეო) პროფესიები

1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატი - ფერმერი (მეცხოველე, მეფუტკრე, მიწათმოქმედი)
2. მარცვლეულის გადამუშავების ოსტატი
3. ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი, მძღოლი
4. სამკურნალო მცენარეების მოყვანა-გადამუშავების ოსტატი

სამშენებლო პროფესიები

1. ფართო პროფილის მშენებელი
2. ელექტრომონტიორი
3. სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოების ოსტატი
4. მომპირკეთებელი, მეფილე
5. დურგალი (ხურო, პარკეტის დამგები, მხატვრული დამუშავების ოსტატი)
6. ელექტროაირშემდუღებელი
7. არქიტექტურული დეტალების მძერწავი

სასტუმრო, სარესტორნო საქმის /ტურიზმის პროფესიები

1. სასტუმრო საქმის სპეციალისტი
2. სარესტორნო საქმის სპეციალისტი
3. აგროტურიზმის ოპერატორი
4. გიდი
5. მიმტანი
6. ბარმენი
7. მზარეული (კულინარული ხელოვნების სპეციალისტი)
8. მეშაქარლამე (კონდიტერი)

გაჭრობის პროფესიები

1. არასასურსათო საქონლის გამყიდველი
2. სასურსათო საქონლის გამყიდველი

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს პროფესიები

1. საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების შემკეთებელი ზეინკალი
2. სატელეკომუნიკაციო ქსელების ტექნიკოსი
3. მობილური ტელეფონების შემკეთებელი

4. ავტოშემკეთებელი ზეინკალი
5. ფეხსაცმლის მკერავ-მოდელიორი
6. მკერავ-მოდელიორი

ხალხური რეწვის პროფესიები

1. მეხალიჩე (ზელით მქსოველი, რესტავრატორი)
2. მინანქრის ოსტატი
3. ხალხური რეწვის ოსტატი
4. ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი
5. კერამიკული ნაწარმის დამამზადებელი
6. ლითონის მხატვრული დამუშავების ოსტატი

საინფორმაციო ტექნოლოგიების პროფესიები

1. კომპიუტერული სისტემების ოპერატორი
2. კომპიუტერული ქსელების სპეციალისტი
3. კომპიუტერული ტექნიკის შემკეთებელი
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი
5. გრაფიკოს-დამკაბადონებელი
6. ვებ ტექნოლოგიების სპეციალისტი

საოფისე საქმის პროფესიები

1. მდივან-რეფერენტი
2. ბუღალტერი

2.2 სახელობო პროცესიების მოკლე აღწერილობა აგრარული (სასოფლო-სამეურნეო) პროცესიები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატი (ფერმერი)

თანამედროვე სოფლის მეურნე, რომელიც ფლობს რამდენიმე პროცესიას; აქვს სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები.

იგი არის ინდივიდუალური ან გლეხური მეურნეობის მფლობელი; ქმნის მეურნეობას, გეგმავს მის განვითარებას, შეისწავლის სასოფლო-სამეურნეო ბაზარს, აკეთებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მომხმარებელთა მოთხოვნის პროგნოზს; ადგენს მეურნეობის განვითარების ბიზნეს გეგმას, განსაზღვრავს ტექნიკის, მოწყობილობების, სხვადასხვა სახის ნედლეულისა და მასალების შესყიდვის წყაროებს; აფორმებს თანამშრომლობის ხელშეკრულებებს სხვადასხვა კერძო და იურიდიულ პირებთან; ასრულებს მოსავლის მოყვანის, შენახვის, პირველადი გადამუშავებისა და რეალიზაციის სამუშაოებს. იცავს ეკოლოგიურ და შრომის დაცვის მოთხოვნებს. ფერმერი კარგად იცნობს საგადასახადო კანონმდებლობასა და პრაქტიკას.

ფერმერმა იცის მემინდვრეობის, მევნახეობის, მებოსტნეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობისა და სხვა აგროკულტურების მოყვანისა და რეალიზაციის სამუშაოები; უვლის და ამრავლებს პირუტყვს, ფრინველს, ფუტკარს; ფლობს, ასევე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამუშავების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

მარცვლეულის გადამუშავების ოსტატი

მუშაობს მარცვლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში.

მის მოვალეობებში შედის:

- მარცვლეულის მომზადება გადასამუშავებლად;
- მარცვლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა;
- მარცვლეულის გადატანა დამქუცმაცებელ მოწყობილობებში;
- დაფქვის ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა, სხვადასხვა სახის საცრების დაყენება, საფქვავის გამდიდრება;
- წისქვილის მომზადება სხვადასხვა ხარისხის ნაფქვავის მისაღებად;
- პროდუქციის დაფასოება;
- ხარისხის კონტროლი.
- უსაფრთხოების წესების დაცვა.

ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი, მძღოლი

ამ პროცესის ადამიანი მართავს და ემსახურება ტრაქტორებს, სატვირთო ავტომობილებსა და სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მან იცის და ასრულებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების, სატვირთო ავტომობილებისა და ტრაქტორების ცალკეული

კვანძებისა და აგრეგატების დათვალიერების, გაუმართაობების დადგენისა და აღდგენა-შეკეთების სამუშაოებს.

სამკურნალო მცენარეების მოყვანა-გადამუშავების ოსტატი

სპეციალისტმა იცის სამკურნალო მცენარეების გარჩევა, ფლობს მათი მოყვანის, აღების, პირველადი გადამუშავებისა და შენახვის წესებს. კერძოდ, ასრულებს შემდეგ სამუშაოებს:

- მცენარეთა შერჩევა სამკურნალო თვისებების შესაბამისად;
- სამკურნალო მცენარეთა გამრავლება, მოვლა და მოყვანა;
- სამკურნალო მცენარეთა აღება ვადებისა და აღების წესების დაცვით;
- სამკურნალო მცენარეთა შრობა და პირველადი გადამუშავება;
- სამკურნალო მცენარეთა შენახვა.

სამშენებლო პროფესიები

ფართო პროფილის მშენებელი

ერთდროულად ასრულებს შენობა-ნაგებობების საკალატოზო, შელესვის, მოპირკეთების, სადურგლო და სანტექნიკურ სამუშაოებს. მის ფუნქციებში შედის:

- აგურით, სამშენებლო ბლოკით, ქვით წყობა;
- სამშენებლო სამუშაოების შესრულება ცემენტით, თიხით, გაჯით, თაბაშირით;
- სადურგლო ნაკეთობების დამონტაჟება და გამართვა, შპალერის გაკვრა, სანტექნიკურ სამუშაოთა შესრულება.

დურგალი

ასრულებს ზის დამუშავების, ზის დამმუშავებელი მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოებს, აწყობს ზის ნაკეთობების ელემენტებს.

დურგლის მოვალეობაში შედის:

- ზის ელემენტების დამზადება, შეკეთება და მოდიფიკაცია;
- ზის კარკასების დამონტაჟება სამშენებლო მოედანზე;
- შენობის შიდა და გარე ელემენტების (კარ-ფანჯრები, პანელები, პარკეტი და სხვა) დამაგრება, აწყობა და გამართვა.

დურგალი – სამშენებლო (მოვალეობები):

წის კარგასული წყობა, ფანჯრისა და კარის ბლოკების მონტაჟი, სადურგლო ტიხრების მოწყობა, პარკეტის იატაკის საფარის მოწყობა, სადურგლო-სამშენებლო ნაკეთობათა რემონტი, სამშენებლო ნირმებისა და წესების დაცვა.

დურგალი – მევეჯე:

მარტივი წის ავეჯის დამზადება; კორპუსული ავეჯის დამზადება ფილებისაგან; ავეჯის ნაკეთობების გამოყვანა და გაპრიალება; ავეჯის რესტავრაცია.

მთავარია, დურგალმა სრულფასოვნად იცოდეს შესასრულებელ სამუშაოთა ტექნოლოგიები, შეეძლოს მასალების გარჩევა, ხარისხის შეფასება, შრომის უსაფრთხოების დაცვა, სამუშაოს შესრულება მაღალ პროფესიულ დონეზე.

ელექტროაირშემდუღებელი

აირმოწყობილობების, ელექტრორკალის, ლითონის დნობისა და სხვადასხვა მჭრელი საშუალებებით ადუღებს და ჭრის ლითონის დეტალებს:

- შეუძლია შესადუღებელი აპარატის სწორად შერჩევა;
- შედუღებისა და ჭრის ძირითადი სახეების შესრულება;
- სხვადასხვა სიგრძისა და კონტურის დეტალების ჭრა;
- ლითონის ნაწილების შეერთება ხელის სარჩილავის საშუალებით;
- სხვა მომიჯნავე სამუშაოთა შესრულება.

არქიტექტურული დეტალების მძერწავი

სახლები, ქუჩები და ქალაქები განუმეორებელ ელფერს იძენენ ფასადების დეკორატიული გაფორმებით. განსაკუთრებულად ლამაზია შენობების ნაძერწი მორთულობები. არქიტექტურული დეტალების მძერწავთა უპირველესი ამოცანაა არსებული გაფორმებების შენარჩუნება და ახალი დეტალების შექმნა.

არქიტექტურული დეტალების მძერწავი მემოდელე ან სკულპტორი თიხაში ქმნის ნაძერწ დეტალს, მაგრამ რადგან თიხის ნაკეთობა ნაკლებად გამდლე, იგი გადააქვს რამე სხვა მტკიცე მასალაში. მძერწავი ამზადებს ყალიბს, რომლის შიდა მოხაზულობა ზუსტად შეესაბამება მომავალ ნაწარმს. ყალიბში სპეციალური შემადგენლობის ჩასხმის, გამყარებისა და ფორმის მოცილების შემდეგ, ზუსტად იქნება აღდგენილი სამოდელო ნაკეთობის ნიმუშის სახე. ზოგჯერ ნიმუშები ისეთი კონფიგურაციისაა, რომ არ ხერხდება მათი მთლიანი სახით ამოღება ყალიბიდან. ასეთ შემთხვევაში, მძერწავი ამზადებს ხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარ ყალიბს.

მძერწავის პროფესია ითხოვს ტექნოლოგიური პროცესის მრავალი წვრილმანის ცოდნას, რომელთა დასაუფლებლად საჭიროა მდგრადი ყურადღება და დაკვირვების უნარი. მისთვის აუცილებელია განვითარებული ესთეტიკური გემოვნება, მხატვრული კულტურა და გემოვნება.

სანტარულ-ტექნიკური სამუშაოების ოსტატი

სანტექნიკური სამუშაოების ოსტატი (ზეინკალ-სანტექნიკოსი) იმ პროფესიის ადამიანია, რომელიც ხელს უწყობს სასიამოვნო გარემოს შექმნას საცხოვრებელ სახლებსა და დაწესებულებებში, უზრუნველყოფს წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის გამართულ მუშაობას.

ზეინკალ-სანტექნიკოსი შენობის აშენებისას აწარმოებს გათბობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სამონტაჟო სამუშაოებს. საყოფაცხოვრებო-საექსპლოატაციო სამსახურებში მუშაობისას ასრულებს ამ სისტემების სარემონტო სამუშაოებს.

ზეინკალ-სანტექნიკოსები დასაქმებული არიან სანტარულ-ტექნიკური მოწყობილობების მწარმოებელ საწარმოებში, თითქმის თითოეულ მსხვილ საწარმოსა და ორგანიზაციაში. ბევრი მათგანი ეწევა წარმატებულ სამეწარმეო საქმიანობას.

მოპირკეთებელი - მეფილე

ასრულებს სახლების, ხიდების საყრდენებისა და სხვა, ასევე, შენობის შიდა სათავსების ფილებით მოპირკეთების სამუშაოებს; აწყობს კერამიკულ ფილებს ზომის, ფერისა და ხარისხის მიხედვით. ამზადებს ხსნარებს, ასუფთავებს ზედაპირს; ზომების მიხედვით ჭრის ფილებს; შეუძლია ხალიჩური კერამიკის აწყობა მოცემული ესკიზის მიხედვით; ასრულებს მოპირკეთებული ზედაპირების სარემონტო სამუშაოებს.

სპეციალისტმა იცის მოსაპირკეთებელი მასალების ხარისხი, ფლობს მონიშვნის, პორიზონტალურ, ვერტიკალურ და ირიბ ზედაპირებად დანაწილების მეთოდებსა და ხერხებს; ფასონური და სწორი ფილების დაწყობისა და დამაგრების მეთოდებს, ფილების შეცვლისა და შეკეთების წესებს.

ელექტრომონტიორი

ამონტაჟებს და არემონტებს მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროექსელებს. ტექნიკურად ემსახურება ქსელში ჩართულ მოწყობილობებს. ატარებს მათ მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს. მის მოვალეობაში შედის:

- შენობა-ნაგებობების ელექტროგაყვანილობის მონტაჟი, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;
- გარე ქსელის ელექტრომოწყობილობების მონტაჟი, ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- მომიჯნავე სამუშაოთა შესრულება.

სასტუმრო, სარესტორნო საქმის/ტურიზმის სფეროს პროფესიები

სასტუმრო საქმის სპეციალისტი

სპეციალისტი ასრულებს ყველა იმ ძირითად სამუშაოს, რაც დაკავშირებულია სტუმრების მიღებასთან, განთავსებასთან, მომსახურებასა და გაცილებასთან. ესაა, აღგილების დაჯავშნა, სტუმრების მიღება და განთავსება, მათი კვებისა და საჭიროების შემთხვევაში,

სატრანსპორტო მომსახურება, რეგისტრება სტუმრების საჭიროებებზე და შესაბამისი დაზმარების გაწევა. სპეციალისტს უნდა შეეძლოს სასტუმროს საქმიანი დოკუმენტების წარმოება, მუშაობა კომპიუტერულ და სასტუმროს ელექტრონულ ტექნიკასთან.

სარესტორნო საქმის სპეციალისტი

ფლობს რესტორნის საქმიანობის ძირითად სახეებს:

- რესტორნის მომზადება მომსახურებისათვის;
- კლიენტთა მიღება, განთავსება მაგიდებთან;
- სხვადასხვა სახის მომსახურების ორგანიზება და გაწევა;
- სუფრის გაშლა დაკვეთის სახის შესაბამისად;
- ანგარიშეწორება კლიენტებთან;
- ელექტრონული სისტემებისა და სალაროს აპარატების მომსახურება.
- მუშაობა მზარეულებთან, მიმტანებთან, სხვა მომსახურე პერსონალთან.

შეუძლია ნედლეულის, მომზადებული კერძების ხარისხის, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის კონტროლი. სპეციალისტს უნდა ჰქონდეს ურთიერთობის მაღალი კულტურა.

მზარეული

კულინარულად ამუშავებს პროდუქტებს. ამზადებს ნახევარფაბრიკატებს ხორცისგან, ფრინველისგან, თევზისა და ბოსტნეულისგან. ამზადებს სხვადასხვა სახის პირველ, მეორე, მესამე თავ, ცხელ და ცივ კერძებს, ცივ და ცხელ სასმელებს, ტკბილ კერძებს; განსაზღვრავს მომზადებული საკვების ხარისხს; იცავს უსაფრთხოების, სანიტარიისა და ჰიგიენის წესებს; ამზადებს, როგორც ნაციონალურ, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კერძებს.

მზარეულმა უნდა იცოდეს პროდუქტების კულინარული დამუშავების მეთოდები, ნახევარფაბრიკატების მომზადების წესები, თბური დამუშავების მეთოდები, რეჟიმი და სანგრძლივობა; მენიუს შედგენის წესი; მზა კერძების, ნახევარფაბრიკატებისა და პროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის ვადები. მას უნდა შეეძლოს მზა კერძის ხარისხის შეფასება.

მუშაქარლამე (კონდიტერი)

ამზადებს სხვადასხვა სახის საკონდიტრო ნაწარმს: ტორტებს, შაქარლამებს, ფუნთუშებს. წინასწარ ამზადებს სხვადასხვა სახის ნედლეულს, იცის მათი თვისებები. ამზადებს სხვადასხვა სახის ცომეულს, სხვადასხვა სახის კრემებს, გულსართებს, ჭიქურს, ფარშს, საცხს, ნახევარფაბრიკატებს და ნაწარმს. სხვადასხვა სახითა და ხერხებით აფორმებს და რთავს საკონდიტრო ნაწარმს; ამოწმებს მზა ნაწარმის ხარისხს; იცავს უსაფრთხოების, სანიტარიისა და ჰიგიენის წესებს.

მეშაქარლამებ იცის ცომის მომზადების წესები, ხერხები და თანმიმდევრობა. საფუვრიანი და უსაფუვრო, სხვა სახის ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების მომზადების წესები; მზა ფქვილოვანი ნაწარმის შენახვისა და რეალიზაციის ვადები, ექსპლოატაციის წესები, მოწყობილობის მომსახურება.

ბარმენი

ამზადებს სასმელებს, ყავას, სხვადასხვა სახის კოქტეილებს; ემსახურება მომხმარებელს; იღებს შეკვეთებს, ახდენს ანგარიშსწორებას.

იგი წინასწარ ამზადებს ბარს სამუშაოდ: იღებს ნედლეულს, ამზადებს სამუშაო ადგილს, ამოწმებს პროდუქტების ხარისხს. აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას.

ბარმენის მოქნილ, სხარტ, ოპერატიულ მუშაობაზე, ურთიერთობის კულტურაზე, დიდად არის დამოკიდებული ბარის წარმატება.

მიმტანი

ემსახურება მომხმარებლებს რესტორანში, კაფეში, სხვადასხვა სახის კვების ობიექტებში. მიაქვს მაგიდასთან შეკვეთილი კერძი თუ სასმელი.

მის მოვალეობებში შედის:

- ობიექტის მომზადება მომხმარებელთა მომსახურებისთვის, მომხმარებლის მომსახურება, ანგარიშსწორება და ანგარიშგება. მომხმარებელთა მომსახურება ითვალისწინებს: შეხვედრას კლიენტთან, მენიუს გაცნობას, დახმარებას კერძებისა და სასმელების შერჩევაში, მათვის საფირმო კერძებისა და სასმელების გაცნობას.
- ინდივიდუალური და ჯგუფური მომსახურება;
- შეკვეთის მიღება და გაფორმება, გადაცემა სამზარეულოში, სალარო აპარატებისა და ელექტრონული სისტემების მომსახურება;
- მაგიდის გაწყობა შეკვეთის მიხედვით. მომხმარებლის მომსახურება საუზმის, სადილის, კანკომის თავისებურებების გათვალისწინებით და წესების დაცვით;
- ბანკეტების, მიღებების, სადღესასწაულო საღამოების მომსახურება;
- შვედური მაგიდის, ექსპრეს-მაგიდის და სხვა სახის მომსახურება;
- გასვლითი მომსახურება (კეიტერინგი);
- მომსახურება სასტუმროს ნომერში. უცხოელი სტუმრებისა და ტურისტების მომსახურება;
- დიპლომატიური სერვისი, საოქმო შეხვედრების მომსახურება.

მიმტანისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ურთიერთობის მაღალი კულტურა.

აგროტურიზმის ოპერატორი

სასოფლო ტურიზმის სპეციალისტი. იგი ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას სოფლად. მოზიდვას ტურისტებს, აცნობს მათ კონკრეტული მხარის, რეგიონის თავისებურებებს, ასრულებს მათი მიღების, განთავსების, მომსახურების, კვების, გართობის, ექსკურსიების, ტრანსპორტით მომსახურების საორგანიზაციო სამუშაოებს. შეუძლია დასაქმება აგროტურისტულ სადგურებში, ოჯახურ სასტუმროებში, ფერმერულ ტურისტულ მუზეურნეობებში და სხვა.

გილი

ტურიზმის სფეროს სპეციალისტი, რომელიც ეხმარება ურთიერთობაში ტურისტებს, მათ შორის სხვა ნაციონალური კულტურის მქონეთ; ორგანიზებას უკეთებს ტურისტების დასვენებას, დახმარებას უწევს სსხვადასხვა სახის დოკუმენტების გაფორმებაში; საექსკურსიო მომსახურებისას აცნობს ქვეყნის კულტურას, ისტორიას, ისტორიულ ძეგლებს, ეთნოგრაფიულ თავისებურებებს.

მისთვის საჭიროა უცხოური ენების, ქვეყნის, მხარის ისტორიის, კულტურის, კანონმდებლობის ცოდნა.

გაჭრობის პროფესიები

გამყიდველი (სასურსათო საქონლის, არასასურსათო საქონლის)

შუამავალია საქონლის მეპატრონება და მყიდველს შორის. იგი გასაყიდ საქონელს უკეთებს რეკლამას. მყიდველს სთაგაზობს სხვადასხვა სახის საქონელს, ეხმარება მას სასურველი საქონლის შერჩევაში. ფლობს მყიდველთან ურთიერთობის კულტურას, იცის გაყიდვის წესები, იყენებს სალაროს აპარატს, გასცემს ქვითარს. თვალყურს ადევნებს საქონლის მარაგების შექმნას, მათი რეალიზაციის ვადებს. ამოწმებს საქონლის დასახელებას, რაოდენობას, დაკომპლექტებას, ხარისხს, ფასებს, ნიშანდებას, ლუქს და სხვა. საჭიროების მიხედვით, აფორმებს საგარანტიო პასპორტებს გაყიდულ საქონელზე. დაგეგმილი წესით აბარებს ფულს. აფორმებს ვიტრინებს. გამყიდველის შრომითი საქმიანობა სპეციალიზდება სასაქონლო ნიშნით.

სასურსათო საქონლის გამყიდველი ყიდის კვების პროდუქტებს, კულინარულ ნაწარმს, ხილს, ბოსტნეულს, ხორცს, თევზს, რძის პროდუქტებს, საკონდიტორ ნაწარმს.

არასასურსათო საქონლის გამყიდველი 20-ზე მეტი სპეციალიზაციისაა: ავეჯის გამყიდველი, რადიოაპარატურის გამყიდველი, ნავთობპროდუქტების გამყიდველი, სამეურნეო საქონლის გამყიდველი, სამშენებლო მასალების გამყიდველი და სხვა.

გამყიდველმა უნდა იცოდეს გასაყიდი საქონლის ასორტიმენტი, დანიშნულება, გამოყენების ხერხები, მათი მოვლა, შენახვის ვადები. მას უნდა შეეძლოს სავაჭრო მოწყობილობების (სასწორი, მაცივარი და სხვა) გამოყენება, საწყობიდან საქონლის მიღება და გასაყიდად მომზადება.

საყოფაცხოვრებო და მომსახურების სფეროს პროფესიები

საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურის შემკეთებელი ზეინკალი

ასრულებს სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და აპარატურის საექსპლოატაციოდ მომზადებისა და შეკეთების სამუშაოებს. მის მოვალეობაში შედის:

სხვადასხვა სახის ელექტროაპარატურისა და მოწყობილობების აწყობა, დამონტაჟება, რეგულირება, გამოცდა, ექსპლოატაციაში გაშვება და მომსახურება, ელექტრონული მოწყობილობებისა და აპარატურის დეფექტური დეტალების შეცვლა, რეგულირება და შეკეთება.

მობილური ტელეფონების შემკეთებელი

იცნობს სხვადასხვა მოდელის მობილური ტელეფონის აგებულებას, მის აქსესუარებს.

ფლობს ტელეფონის ნაწილების შეცვლისა და შეკეთების ოპერაციებს (ეკრანი, კორპუსი, მიკროფონი, დინამიკი, ჩართვის ღილაკი, კლავიატურა, დამცავი მინა, პოლიფონიური დინამიკი, შლეიფი და სხვა).

ამ პროფესიის დასაუფლებლად აუცილებელია დაკვირვების უნარი, სიზუსტე, კარგი მხედველობა, ყურადღების კონცენტრაცია.

ავტოშემკეთებელი ზეინკალი

ასრულებს ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების სხვადასხვა სახის ოპერაციებს. ფლობს მანქანის ძრავის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდებს; აკონტროლებს ავტომანქანის ტექნიკურ მდგომარეობას დიაგნოსტიკური მოწყობილობებისა და სელსაწყოების საშუალებით, ადგენს ელექტრონული ნაწილების გაუმართაობებს და აღმოფხვრის მათ; მართავს ავტოსატრანსპორტო საშუალებებს.

მკერავ-მოდელიორი

ქმნის ტანსაცმლის მოდელს, გამოჭრის და კერავს მას.

არკვევს კლიენტის სურვილებს, აზუსტებს შეკვეთას; ეხმარება კლიენტს მოდელის შერჩევაში ქსოვილის, მოდისა და კლიენტის ფიგურის გათვალისწინები; ქმნის მოდელს; იღებს ზომებს; აკეთებს მოდელის მონახაზს; გამოჭრის თარგსა და ქსოვილს. ანაწილებს ან თავად კერავს ტანსაცმელს.

პროფესიის დაუფლებისას შეისწავლის კონსტრუირებისა და მოდელირების საფუძვლებს; იძენს ტანსაცმლის კერვის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, უუფლება სამეწარმეო ცოდნასა და ურთიერთობის კულტურას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მკერავ-მოდელიორის საქმიანობისათვის.

ფეხსაცმლის მკერავი-მოდელიორი

კერავს სხვადასხვა სახის ფეხსაცმელს. ფლობს ტყავის, მისი შემცვლელი და სხვა სახის მასალიდან ფეხსაცმლის კერვის ტექნოლოგიას.

არკვევს კლიენტის სურვილებს, აზუსტებს შეკვეთას. ეხმარება კლიენტს მოდელის შერჩევაში. იღებს ზომებს. აკეთებს მოდელის მონახაზს. გამოჭრის ფეხსაცმლის დეტალებს, ანაწილებს ოპერაციებს ან თავად კერავს ფეხსაცმელს.

იცნობს მასალის თვისებებს. ფლობს ტყავისა და სხვა სახის მასალაზე მუშაობის სხვადასხვა ოპერაციებს.

პროფესიის დაუფლებისას შეისწავლის კონსტრუირებისა და ფეხსაცმლის მოდელირების საფუძვლებს, იძენს ფეხსაცმლის კერვისა და შეკეთების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, უფლება მეწარმეობის საფუძვლებსა და ურთიერთობის კულტურას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მისი საქმიანობისათვის.

ხალხური რეწვის პროფესიები

მეხალიჩე (ხელით მქონელი, რესტავრატორი)

მეხალიჩეობა ტრადიციული ნატიფი ხელისნობის სახეა. მეხალიჩე ხელით ქსოვს სხვადასხვა სახის ხალიჩებსა და ფარდაგებს. იგი მუშაობს ქსოვის ტრადიციული ტექნოლოგიით: რაც ითვალისწინებს:

- მატყლის ხელით გრეხვას და ნართის მომზადებას;
- ნართის გაჭიმვას დაზგაზე;
- ბუნებრივი საღებავების გამოყენებას;
- ქსოვისას ორნამენტების, დეკორატიული ქსოვილების გამოყენებას;
- ხალიჩების ქსოვას კვანძური მეთოდებით;
- თასმების, ხელის ბადეების გაკეთებას;

მეხალიჩე, ასევე, ასრულებს ძველი ხალიჩებისა და ფარდაგების სარესტავრაციო სამუშაოებს.

ხალხური რეწვის ოსტატი

ტრადიციული მოწყობილობების, ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით სხვადასხვა ბუნებრივი მასალისაგან (ხე, თიხა, ჩალა, ლერწამი, ძვალი, ბუმბული, ტყავი, ნართი, ლითონი და სხვა) ამზადებს საოჯახო ნივთებს, ავეჯს, ჭურჭელს, ტანსაცმელს, სამკაულს, სხვადასხვა სახის ტრადიციულ დეკორატიულ ნაწარმს და სხვა სახის გამოყენებით პროდუქციას.

კერამიკული ნაწარმის დამამზადებელი

ამზადებს სხვადასხვა სახის კერამიკულ ნაწარმს – ქოთნებს, ქილებს, ტოლჩებს, ღოქებს და სხვა. ფლობს კერამიკული მასის მომზადების, ნაკეთობის სახის ფორმირების, გამოწვის, მოხატვისა და გაფორმების ტრადიციულ და თანამედროვე ტექნოლოგიებს.

მინანქრის ოსტატი

გადმოცემით, ტიხრული მინანქრის წარმოების ქართული ტექნოლოგია დაკარგულა მე-15 საუკუნეში. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ ტექნოლოგიის თავისებურება ის იყო, რომ გამოწვის ხანგრძლივობის მიხედვით ხდებოდა განუმეორებელი ფერების მიღება. ამ ნაკეთობების ნახვა დღეს მხოლოდ მუზეუმებშია შესაძლებელი.

დღევანდელი ტექნოლოგიით, ტიხრული მინანქრის დასამზადებლად გამოიყენება სხვადასხვა შეფერილობის მასა, რომელიც სპეციალურ ღუმელში გადის მრავალჯერადი გამოწვის პროცესს.

მინანქრის ნაკეთობის დამზადება მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და შრომისუნარიანობას.

თავდაპირველად მუშავდება ესკიზი. შემდეგ ესკიზის მიხედვით მინანქარი კეთდება ოქროზე, ბრინჯაოზე, ვერცხლზე. მაგ. ვერცხლის ძაფებისაგან ოსტატს გამოყავს ესკიზზე მოცემული გამოსახულება, ასხამს ფერებს. მრავალჯერადი გამოწვის შემდეგ ნაკეთობას ასუფთავებენ.

მინანქრისაგან ამზადებენ ხატების მორთულობებს, სხვადასხვა სახის სამკაულებს.

ნის მხატვრული დამუშავების ოსტატი

ამზადებს სხვადასხვა სახის ნის ნაკეთობებს. დაზგაზე და ხელით გამოყავს ჩუქურთმები, სხვადასხვა ორნამენტები; იცის სხვადასხვა სახის ნის თვისებები, რადგან ბევრი რამ ოსტატის მუშაობაში დამოკიდებულია მასალის სახესა და ხარისხზე. სამუშაოს დაწყებამდე აკეთებს ესკიზს, წინასწარ გამოქტავს ნაკეთობას თიხაში ან პლასტილინით.

ოსტატისთვის აუცილებელია შემოქმედებითი უნარი, წარმოსახვის ნიჭი, მაღალი გემოვნება, ყურადღების კონცენტრირების უნარი და სხვა.

ლითონის მხატვრული დამუშავების ოსტატი

ამზადებს ლითონის სხვადასხვა ნაკეთობებსა და დეტალებს, მოწყობილობების ნაწილებს, აწყობს ფურცლოვანი ლითონის სახურავებს. მის მოვალეობაში შედის:

- ლითონის სხვადასხვა სახის ნაკეთობათა დეტალების, მოწყობილობათა ნაწილებისა და სახურავების დამზადება ხელით ან სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით, ცივი და ცხელი მეთოდებით;
- ლითონის გაცხელება მისი შემდგომი დამუშავებისათვის, ლითონის წრთობა და მოშვება;
- დახურული და ღია შტამპიანი წნეხების მართვა;
- ლითონის ნამზადის ფასონირება;
- სხვა მომიჯნავე სამუშაოთა შესრულება.

საინფორმაციო ტექნოლოგიური პროფესიები

ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი

სპეციალისტი, რომელიც იცნობს თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურასა და მათი მუშაობის პრინციპებს; იცის და იცავს აპარატული და პროგრამული უსაფრთხოების წესებს; იცნობს აპარატულ და პროგრამულ დიაგნოსტიკურ საშუალებებს და შეუძლია წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა. მის ფუნქციებში შედის:

- კომპიუტერის ნაწილების შეცვლა და განახლება;
- წარმოქმნილი აპარატული პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვალიფიციური აღმოფხვრა;
- ოპერაციული სისტემების, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და მართვა;
- ღრაივერების ინსტალაცია და განახლება;
- მცირე საოფისე ქსელების შექმნა;
- პერიფერიული მოწყობილობების გამართვა;
- საოფისე პროგრამებთან მუშაობა.

გარდა აღნიშნულისა, სტუდენტს სწავლის პერიოდში გამოუმუშავდება უნარ-ჩვევები და აღლო მომავალში ადვილად ათვისოს მისთვის საჭირო სხვა გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამები და გაიღრმავოს ცოდნა.

კომპიუტერული სისტემების სპეციალისტი

ამ კვალიფიკაციის სპეციალისტმა იცის კომპიუტერის მუშაობის პრინციპები, კომპიუტერის კონფიგურირება (აწყობა), ოპერაციული სისტემებისა და სამომხმარებლო პროგრამების ინსტალაცია და მართვა; კომპიუტერული ქსელების აწყობა და მომსახურება, პრინტერებისა და სხვა პერიფერიული მოწყობილობების მხარდაჭერა. სპეციალისტი ფლობს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს.

ეს არის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია:

- სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისების ინსტალაცია და აღმინისტრირება;
- ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- tp, Web, Mail, DNS, Proxy, NAT სერვერების ინსტალირება და მართვა;
- სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ოპერაციული სისტემების მოდერნიზაცია;
- ანტივირუსული სერვერის ინსტალაცია;
- იმ აუცილებელი სისტემების დაყენება, რომლებიც საჭიროა ზემოთ ჩამოთვლილი სერვისების უზრუნველსაყოფად;
- დომეინური მართვის სისტემის (Active Directory) შექმნა და პროგრამებისა და მომხმარებლების უფლებების ცენტრალიზებული მართვა.

კომპიუტერული ქსელის სპეციალისტი

სპეციალისტის შეუძლია:

- მცირე და საშუალო სიდიდის კომპიუტერული ქსელების დაგეგმვა, ინსტალაცია და აღმინისტრირება;
- ქსელური აპარატურის (მარშუტიზატორი, კომუტატორი, მოდემი, უსადენო ქსელის მოწყობილობები) კონფიგურირება და მართვა;
- ქსელური პრობლემების აღმოჩენა და აღმოფხვრა;
- ქსელში შეღწევის სიების შექმნა.

სპეციალისტმა იცის ქვექსელების აგების პრინციპები; სტატისტიკური და დინამიური მარშრუტიზაცია; უსადენო ქსელის მუშაობის პრინციპები და მათი გამართვა პატარა და საშუალო ორგანიზაციის მასშტაბით. სპეციალისტი ფლობს ქსელურ ოპერაციულ სისტემებსა

და იმ სერვისებს, რომლებიც აუცილებელია ინტერნეტის ქსელთან ორგანიზაციის დასაკავშირებლად.

პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელ-ოპერატორი

სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია:

- კომპიუტერის კონფიგურაციის სწორად შერჩევა და სამუშაო გარსის მოწყობა;
- კვალიფიციურად და ეფექტურად მუშაობა ზოგადი დანიშნულების საოფისე სისტემებში: ტექსტურ რედაქტორთან და ელექტრონულ ცხრილებთან;
- ინტერნეტის საშუალებით სასურველი ინფორმაციის მოპოვება და ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
- სხვადასხვა სახის საპრეზენტაციო დოკუმენტების შექმნა;
- მარტივი სახის ვებ გვერდების დაპროექტება და შექმნა;
- მონაცემთა ბაზის დაპროექტება და შექმნა;
- სამომხმარებლო პროგრამების ინსტალაცია.

ვებ ტექნოლოგიების სპეციალისტი

ეს არის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია:

- არსებული ვებ გვერდების (ვებ საიტების) მომსახურება, ინფორმაციის განახლება და დამატება;
- არსებული დიზაინის საფუძველზე ახალი ვებ გვერდების აწყობა ვებ ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ვებ დიზაინის აწყობა რასტრული და ვებსტრული და გრაფიკული რედაქტორების გამოყენებით;

სპეციალისტი ფლობს:

- ვებ გვერდის განთავსებისათვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;
- გვერდის მართვის სისტემაში მუშაობის უნარ-ჩვევებს;
- ვებ ტექნოლოგიებში არსებული დამატებითი ინსტრუმენტების (საშუალებების) დამოუკიდებლად ათვისების უნარ-ჩვევებს.

გრაფიკოს-დამკაბადონებელი

სპეციალისტი, რომლის ფუნქციებია:

- ბეჭდვითი მასალების ელექტრონული ვარიანტების მომზადება;
- წიგნების, ურნალ-გაზეთებისა და სხვა ბეჭდვითი მასალების დაკაბადონება;
- სავიზიტო ბარათებისა და ეტიკეტების დამზადება რასტრული და ვებსტრული გრაფიკული რედაქტორების გამოყენებით;
- გრაფიკული სარეკლამო მასალების შექმნა;
- არაწრფივი მონტაჟისა და ანიმაციური რეკლამული ფორმების პროგრამული უზრუნველყოფა.

ვებ პროგრამისტის ასისტენტი

ორდონიანი კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული არის სპეციალისტი, რომელიც ფლობს ვებ გვერდების პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიებსა და პროგრამულ ენებს. იცის მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების ინტეგრირება ვებ გვერდებთან.

სპეციალისტი ასრულებს შემდეგი სახის სამუშაოებს:

- არსებული ვებ გვერდების პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიკაცია;
- ახალი ფუნქციების დამატება;
- კონტექსტი საიტების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;
- მარტივი სტრუქტურის მონაცემთა ბაზების ინტეგრირება ვებ საიტებში;
- პროგრამისტის მიერ მოთხოვნილი მოდულების შექმნა და დამუშავება.

სატელეკომუნიკაციო ქსელების ტექნიკოსი

სპეციალისტი ორგანიზებას უკეთებს ობიექტის (კომპანიის, საწარმოს, სახლის) ერთიან საინფორმაციო სივრცეს, კორპორაციული საინფორმაციო ნაკადებისა და მომხმარებელთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების მიზნით.

ამ პროფესიის სპეციალისტი ასრულებს შემდეგი სახის სამუშაოებს:

- კომპიუტერული, სატელეფონო, სატელევიზიო, აუდიო-ვიდეო, უსადენო, აგრეთვე, ინტეგრირებული ქსელების ფიზიკური ნაწილის კვალიფიციური და მაღალხარისხიანი მონტაჟი, მომსახურება, დიაგნოსტირება და შეკეთება;
- თანამედროვე ციფრული საკომუნიკაციო ტექნიკისა და სხვა სახის ინფორმაციის გადაცემის სისტემების ტექნიკური საშუალებების (საუწყებო სატელეფონო სადგურების, სარელეო და რადიოსადგურების, რეტლანსლატორებისა და გამაძლიერებლების, საკომუტაციო და დამაბოლოებელი აპარატურის) საექსპლოატაციო მომსახურება, დიაგნოსტირება, გამართვა – რეგულირება და მიმდინარე აღდგენა-შეკეთება.

ელექტრული და სატელეკომუნიკაციო ქსელების ელექტროტექნიკოსი

დაბალი ძაბვისა და მცირე დენების ქსელებისა და მოწყობილობების მემონტაჟე, აგრეთვე, თანამედროვე საყოფაცხოვრებო და საორგანიზაციო (საოფისე) ელექტროტექნიკის კვალიფიციურად და მაღალხარისხიანად მომსახურე და შემკეთებელი სპეციალისტი.

სპეციალისტის შრომითი საქმიანობის სახეებია:

- ყველა სახის თანამედროვე საყოფაცხოვრებო და საორგანიზაციო (საოფისე) ელექტრონული ტექნიკის: აუდიო-ვიდეო ტექნიკის, სათმაშო აპარატების, ფაქსის, ასლგადამლები აპარატებისა და სხვა საექსპლოატაციო მომსახურება, დიაგნოსტირება, გამართვა – რეგულირება და მიმდინარე აღდგენა-შეკეთება;
- დაბალი ძაბვის და მცირე დენების ქსელებისა და მოწყობილობების მონტაჟი და შეკეთება.

საოფისე საქმის პროფესიები

მდივან-რეფერენტი

სხვადასხვა პროფესიის სახელმწიფო და კერძო საწარმოებში ასრულებს სხვადასხვა რანგის ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტენიკური უზრუნველყოფის, დოკუმენტბრუნვის, უდოკუმენტო მომსახურების სამუშაოებს.

სამუშაო ითვალისწინებს: მოქალაქეთა მიღების, ხელმძღვანელთან სხვადასხვა სახის შეხვედრების, თათბირების, მიღებების მომზადებას; საქმიანი დოკუმენტების წარმოებას, დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას, საქმიანობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. მდივან-რეფერენტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობის კულტურის დაცვა.

ბუღალტერი (საბუღალტრო აღრიცხვის მომსახურე პერსონალი)

მონაწილეობს საწარმოს საბუღალტრო ოპერაციების შესრულებაში, საბუღალტრო ჩანაწერების გაკეთებასა და გამოთვლების წარმოებაში, პროდუქციის თვითღირებულებისა და ხელფასის გაანგარიშებაში.

მის მოვალეობებში შედის:

- საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშების ჩანაწერების წარმოება;
- აუცილებელი გაანგარიშებები და გამოთვლები; არსებული ჩანაწერების საფუძველზე პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება;
- პერიოდულად ფინანსური ანგარიშების წარმოება;
- ინფორმაციის მომზადება.
- კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის ცოდნა.

2.3 სახელობო საგანმანათლებლო დაწესებულებები

ა. საჯარო პროფესიული სწავლების ცენტრის

თბილისის პროფესიული სწავლების

ცენტრი ”იკარისი“ / 1 /



მიმდანი: “მე მომწოდე აღამიანებთან
ყორებითობა, ყვლილობა ისინი კარე ხასიათზე
დაგაუყინო. ამიცომაც აკირჩი მიმდანობა.”


თუმთ კ.



მზარეული: "მე კურსანი ვარ. მიყვანი ეგმილი და ლამაზაღ
ეაფორმებული საჭმელი. სახლში სპილად ვამზაღებ ეგმილ ტრიქები.
სომლების ძალიან მოწოდე ჩემ მშობლები და მეერთები. ეაღაუნიურულ
გარე მზარეული. მითყმეცე. სოდ ვარ მზარეულზე დიდი მოთხოვნაა."

ნიკა ა.

სასუმრო საქმი
სკოლის ციფრი:
"მე დიდ ინამოწერას
მანიფესტი სცენისტთან
ყოთილობობა. ძალიან
მიწა, სოდ ჰერიტაჟი
აღამიანდა ეაიცნოს ჩემი
მშობლიული ცუცხე, ვაკილებ
ჩაფასა სასუმროს
გახსნას. სის ეამოც
უკუფლები ამ ჩილივისა."
ნინო ბ.



დირექტორი	თამარ ჭაბიძე
საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №4 ტელეფონი: (+995 32) 37 39 96; 37 66 29 ელ-ფოსტა: tourcollege@gol.ge
ადგილების რაოდენობა	165
მოკლე ისტორია	<p>ცენტრი დაფუძნდა 2006 წელს, გაიხსნა 2007 წლის 23 სექტემბერს. იგი მომზადებს პროფესიონალ კადრებს ტურიზმის ბიზნესისათვის.</p> <p>ცენტრი მუშაობენ მაღალი კვალიტიგაციის ინსტრუქტორ-პედაგოგები. სასწავლებელი მჭიდროდ თანამშრომლობს ტურისტულ ბიზნესთან. მისი პარტნიორები არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> სასტუმროები - „მარიოტი”, „ქორთიარდ მარიოტი”, „შერატონი”, სარესტორნო ქსელი „ჯი-ემ-სი”, ტურისტული სააგენტოები - „კავკასუს თრეველი”, „ამერიკან ექსპრესი” და სხვები. ცენტრი თანამშრომლობს, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორიცაა, საბერძნეთის ტურიზმის სამინისტრო, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), უვრაზის ფონდი საქართველოში, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის (USAID / iesc) პროექტი, ბრიტანეთის საბჭო, ევროპის საგანმანათლებლო ფონდი (ETF), გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების პროგრამა (DVV), ადამიანური რესურსების განვითარების ფონდი (FDHR), საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაცია (IOM), ექსპერტები პოლანდიდან (PUM) და სხვა. <p>ცენტრს კონსულტაციას უწევენ: შვეიცარიის სტუმართმიღებისა და ტურიზმის სკოლა, ჰოლანდიის მონდრიანის ტურიზმის სკოლა, შოტლანდიის დანდის კოლეჯი და უნივერსიტეტი.</p>
შენობა, აღჭურვილობა	<p>სასწავლებელი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული კლასებით, ბიბლიოთეკითა და ინტერნეტ-ბიბლიოთეკით.</p> <p>ცენტრის 9 სასწავლო სახელოსნო აღჭურვილია მაღალი კლასის თანამედროვე ტექნიკით, სადაც სტუდენტისათვის ყველა პირობაა შექმნილი ცოდნისა და აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩევევების დაუპლებისათვის, რაც პირდაპირი გზაა დასაქმებისა და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მოსაპოვებლად.</p>

პროგრამები:

სპეციალობა	სწავლის ხანგრძლივობა	მიღების პირობები	სერთიფიკატი
1. ბარმენი	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკი 18 წლიდან	სერთიფიკატი
2. მიმტანი	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკი 18 წლიდან	სერთიფიკატი
3. მზარეული	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
4. სასტუმროს მიღება - განთავსებისა და დაჯავშნის სამსახურის სპეციალისტი	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
5. ქულინარული ხელოვნების სპეციალისტი	2 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
6. სარესტორნო საქმის სპეციალისტი	2 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკი 18 წლიდან	სერთიფიკატი
7. სასტუმრო საქმის სპეციალისტი	2 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი

კვალიფიკაციის ამაღლების კურსები

1. ბარმენი	15 კვირა	ზოგადი საბაზო, განათლება ასაკი 18 წლიდან, შესაბამისი სამუშაო გამოცდილება	სერთიფიკატი
2. მიმტანი	15 კვირა	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკი 18 წლიდან, შესაბამისი სამუშაო გამოცდილება	სერთიფიკატი
3. მზარეული	15 კვირა	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკი 18 წლიდან, შესაბამისი სამუშაო გამოცდილება	სერთიფიკატი
4. სასტუმროს მიღება- განთავსებისა და დაჯავშნის სპეციალისტი	15 კვირა	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკი 18 წლიდან, შესაბამისი სამუშაო გამოცდილება	სერთიფიკატი

თბილისის პროფესიული

სწავლების ცენტრი “სპექტრი” / 2 /






ლურჯალი: „ლურჯლობა
ჩვენი ოჯახის
ცრალიციული საქმიანობაა.
მე ეაღიზუვიც ამ
ჩრდილის ლაუდობაზე და
შენთავსა ჩრდილის
ლონგზე.”

ვახო ლ.

მშენებელი: “ეს ჩრდილის
იმიწოდება აჭიშები. ჩოტ საყოთალი
სამშენებლო ფირმის ეასწავე
კოცნების.”

ლურჯალი 6.





ტექნიკური:
“შავდანის მიუვალდა
მათემაციურა. სწორებ
ამან ეანაკილობა
აჩჩენი, დამეწყო
სატექნიკო საქმის
ქუნძავლა.”

ლევანი ქ.

მღივანი: “ზოცი, მომ კანე
ჩრდილონალ მღივნებს მაღალი
ანაზღაურება აქვთ. ამიცომ
კუნძავლობა ამ ჩრდილიან.”

ლიკა ქ.

დირექტორი	რევაზ სვანიშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: თბილისი, ჭიჭინაძის №10 ტელეფონი: (+995 32) 40 16 87
ადგილების რაოდენობა	340
მოკლე ისტორია	პროფესიული სწავლების ცენტრი შეიქმნა პროფესიული სასწავლებლის “სერვისის” ბაზაზე, რომელიც 2005 წელს ჩამოყალიბდა თბილისის 4 პროფესიული სასწავლებლის (№54, №63, №74, №107) გაერთიანების შედეგად.
შენობა, აღჭურვილობა	ცენტრს აქვს 6 სასწავლო კორპუსი, საწარმოო სწავლებისათვის კარგად აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით.

პროგრამები:

სპეციალობა	ადგილების რაოდენობა	სწავლის ხანგრძლივობა	მიღების პირობები	სერთიფიკატი
1. ფართო პროფილის მშენებელი (კალატოზი, მებათქაშე, მეფილე, მღებავი)	40	1,5 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
2. დურგალი	20	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
3. სანტექნიკური სამუშაოების ოსტატი	15	6 თვე	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
4. ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ოსტატი	20	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
5. ავტომექანიკოსი	45	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი

სპეციალობა	აღილების რაოდენობა	სწავლის ხანგრძლივობა	მიღების პირობები	სერთიფიკატი
6. კომპიუტერული სისტემების ოპერატორი	40	4 თვე	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
7. კომპიუტერის მომსახურე და შემკეთებელი	35	4 თვე	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
8. მობილური ტელეფონების შემკეთებელი	17	4 თვე	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
9. საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობის მომსახურე და შემკეთებელი	20	4 თვე	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
10. მდივან-რეფერენტი	20	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი
11. ბუღალტერი	40	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, ტესტირება	სერთიფიკატი

ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული

სწავლების ცენტრი / 3 /



ზომიერების ქულები
აღმინისტრობი:

“დღეს, პოდენაც
ზომიერების ქული
უკავან გამოიყენება.
მიმართა, პომ
ჩაიდგინა. პომლი
დაუდობებაც გადაწეული
დიდი მომავალი აქვა.”


მიქა ვ.

დირექტორი	ზაზა ცირამუა
საკონტაქტო ინფორმაცია	<p>მისამართი: 0160, თბილისი, გ. ფანჯავიძის №1^ა</p> <p>ტელეფონი: (+995 32) 37 63 81; 37 13 90; 37 12 33</p> <p>ელ-ფოსტა: info@itvet.ge</p> <p>ვებ გვერდი: www.itvet.ge</p>
ადგილების რაოდენობა	400
მოკლე ისტორია	<p>ცენტრი შეიქმნა თბილისის მრავალპროფილიანი ლიცეუმის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტებით სერთიფიცირებული სასწავლო პროგრამებით. სასწავლებლის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იქნებიან ინფორმაციული ტექნოლოგიების შრომის ბაზაზე.</p> <p>ცენტრში პროფესიული განათლების მიღება შეუძლიათ ზოგადსაგანმნათლებლო საშუალო სკოლების ცხრა კლასდამთავრებულ, ზოგადი საშუალო, საშუალო პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა ასაკის მოქალაქეებს.</p>
შენობა, აღჭურვილობა	<p>ცენტრს გააჩნია ორი შენობა თანამედროვე ტექნიკით და ინგენიერით (15 კომპიუტერული კლასი ვიდეო პროექტორებით, 4 სალექციო აუდიტორია, ელექტრონული ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი სინქრონული თარგმნის კაბინეტით და დამოუკიდებელი კვების მინიბლოკით).</p> <p>ფუნქციონირებს კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო-საწარმო.</p> <p>შენობის ნულოვან სართულზე განთავსებულია სტუდენტური სასადილო.</p>

პროგრამები:


პროგრამის დასახელება	მისაღები კონტინგენტის რაოდენობა	სპეციალობა	პვალიფიკაცია	სწავლის ხანგძლივობა
კომპიუტერული სისტემები და ქსელები	88	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი	4 თვე
		კომპიუტერული სისტემები	კომპიუტერული სისტემების სპეციალისტი	9 თვე
		კომპიუტერული ქსელი	კომპიუტერული ქსელის სპეციალისტი	9 თვე
ვებ მედია ტექნოლოგიები	88	პერსონალური კოპიუტერის მომზარებელ- ოპერატორი	-	4 თვე
		ვებ ტექნოლოგიები	ვებ ტექნოლოგიების სპეციალისტი	9 თვე
		კომპიუტერული გრაფიკა და დაკაბადონება	გრაფიკოს - დამკაბადონებელი	9 თვე
		ვებ პროგრამირება	ვებ პროგრამისტის ასისტენტი	9 თვე
ელექტრული და სატელეკომუნიკაც იო ქსელები	24	სატელეკომუნიკაციო ქსელები	სატელეკომუნიკაც იო ქსელების ტექნიკოსი	9 თვე
		ელექტრული ქსელები	ელექტროტექნიკოსი	9 თვე
ინფორმაციული ტექნოლოგიები ზღაპრულთა გადამზადების პროგრამა	176	საოფისე პროგრამების მომზარებელ- ოპერატორი	-	2 თვე
ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება სკოლასთან ინტეგრირებულ რეჟიმში	24	ინფორმაციული ტექნოლოგიები	-	8 თვე
ცენტრში განათლების მიღება შეუძლიათ ზოგადი საბაზო განათლების მქონე სხვადასხვა ასაკის პირებს				

თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო
პროფესიული სწავლების ცენტრი / 4 /



მინანქოს ასცაცი:
“მინანქოსეან
საქართველოში
ცოდიციულად
ამზაღებენ
სამყაფულებელ
საცეკვე, ჩილ ეამოც
მე გადაწყვიცი
საფუძვლიანად
შემენხავლა ეს
სელოძა.”

მარა ზ.



დირექტორი	ირაკლი ფაჩულია
საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: თბილისი, ჭონქაძის ქუჩა №21 ტელეფონი: (+995 32) 99 99 61; 99 09 07; 99 72 24
ადგილების რაოდენობა	240
მოკლე ისტორია	<p>სასწავლებელი დაარსებულია 1945 წელს, ქართული ხალხური კულტურული მემკვიდრეობის აღორძინების მიზნით. მან თავისი არსებობის მანძილზე მოამზადა 8500-ზე მეტი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი. სასწავლებლის კურსდამთავრებულები მუშაობენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგში.</p> <p>სასწავლებლის არსებობის მანძილზე, მის მოსწავლეებს მიღებული აქვთ 137 ოქროს, 200 ვერცხლის, 247 ბრინჯაოს მედალი, მრავალი დიპლომი და არა ერთი გამოფენის მონაწილის მოწმობა. სასწავლებელს მონაწილეობა აქვს მიღებული 8 საერთაშორისო გამოფენაში.</p>
შენობა, აღჭურვილობა	სასწავლებელს გააჩნია საჭირო შენობა-აღჭურვილობა საწარმო და თეორიული სწავლებისათვის კლას-კაბინეტებით. გვაქვს სპორტული დარბაზი. ტრენაჟორების დარბაზი, გარე მოედანი და საჭიდაო დარბაზი. ბიბლიოთეკა და სხვადასხვა საჭირო სათავსო და ლაბორატორიები, სადურგლო და სამოდელო სამღებრო სამქროები.



პროგრამები:


სპეციალობა	აღგილების რაოდენობა	სწავლის ხანგრძლივობა	მიღების პირობები	სერთიფიკატი
1. მოდელიორი	75	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, გამოცდებით	სერთიფიკატი
2. ხეზე მხატვრული ჭრის ოსტატი	45	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, გამოცდებით	სერთიფიკატი
3. ფეხსაცმლის მკრავ-მოდელიორი	30	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, გამოცდებით	სერთიფიკატი
4. მეხალიჩე (ხელით მქსოველი)	30	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, გამოცდებით	სერთიფიკატი
5. არქიტექტურული დეტალების მშერწავი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, გამოცდებით	სერთიფიკატი
6. ლითონის მხატვრული დამუშავების ოსტატი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, გამოცდებით	სერთიფიკატი
7. კერამიკული ნაწარმის დამამზადებელი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, გამოცდებით	სერთიფიკატი
8. მინანქრის ოსტატი	15	6 თვე	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკის მიუხედავად, გამოცდებით	სერთიფიკატი

რუსთავის პროფესიული სწავლების


ცენტრი ” მოდუსი ” / 5 /



აჭლომეტანის მიუწოდება აჭლომეტანის ჩანარის გამზღვევასთან და ამიცნობასთან ერთად გამოიყენება.



დირექტორი	რამაზ გაგოშაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: 3700 რუსთავი, შარტავას გამზ. №4 ტელეფონი: (+995 24) 15 20 41; 893 20 55 63 ელ-ფოსტა: modusi1@posta.ge
ადგილების რაოდენობა	405
მოკლე ისტორია	ცენტრი შეიქმნა №3 პროფესიული საწავლებლის ბაზაზე, რომელიც აშენდა 1975 წელს მეტალურგიული ქარხნის შეკვეთით. 2006-2007 წლებში მოხდა სასწავლებლის სრული რეაბილიტაცია. კაპიტალურად გარემონტდა შენობანაგებობები. ცენტრი აღიჭურვა თანამედროვე მოწყობილობადანადგარებით. სასწავლებლისა და პოტენციური დამსაქმებლების თანამშრომლობით დამუშავდა ახალი სასწავლო პროგრამები.
შენობა, აღჭურვილობა	მოსამზადებელი პროფესიების სწავლებისათვის შენობა აღჭურვილია სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით.



ულიცისი:

“ძალიან მინდა
კარგი ულიცისი
ეაზღუდე და ეს
ცოლი სხვაგანს
ეალაზური, ამიცოდ
უუჯლები ამ
სულორი.”

ლათონ ჭ.

პროგრამები

სპეციალობა	ადგილების რაოდენობა	სწავლის სანგრძლივობა	მიღების პირობები	სერთიფიკატი
1. ავტომექანიკური ზეინქალი	30	9 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
2. ელექტროაირშემდუღებელი	15	9 თვე	ზოგადი საბაზო განათლება, ასაკი 18 წლიდან	სერთიფიკატი
3. საყოვაცხოვრებო ელექტრონული ტექნიკის შემკეთებელი	30	9 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
4. მოსაპირკეთებელი სამუშაოების ოსტატი	60	3 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
5. სანტექნიკური სამუშაოების ოსტატი	30	6 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
6. განათებისა და ქსელების ელექტრომონტიორი	30	6 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
7. კომპიუტერული ტექნიკის შემკეთებელი	30	9 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
8. კომპიუტერული სისტემების ოპერატორი	180	3 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი

კაჭრეთის პროფესიული

სწავლების ცენტრი / 6 /



სოფლის მუნიციპატი:

”მე სოფელში გცხოვთოთ.
მაქვთ ყარ-მიღამო და
ძალიან მიყვანი
ჰქონეთ. სოფლის
მუნიციპატის დამკინ
პენცაჭლა ჩემთვის
უკილაზე ჩემთვის
საქმე მიმაჩნია.”

ოსური გ.

დირექტორი	ნათელა პაპუნაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: გურჯაანის რაიონი, ს.კაჭრეთი
აღილების რაოდენობა	315 - 400
მოკლე ისტორია	კაჭრეთის პროფესიული ლიცეუმი (ყოფილი კაჭრეთის 137 სპეც, პურპროდუქტების წარმოებისათვის სპეციალისტთა მომზადების სასწავლო საწარმოო ცენტრი) ფუნქციონირებს 1980 წლიდან დამზადების სამინისტროს მიერ აგებულ კომპლექსში, რომელსაც უკავია 7 ჰა ტერიტორია.
შენობა, აღჭურვილობა	<p>აქვს სამი ძირითადი ნაგებობა: სასწავლო, საყოფაცხოვრებო და საერთო საცხოვრებლის კორპუსი.</p> <p>კომპლექსში შედის სპორტული მოედნები, ავტოდრომი, ავტონომიური წყალმომარაგება, საკუთარი ძალებით გაკეთებული გართობისა და დასვენების ცენტრი „აისი“.</p> <p>გარემონტებულია სასწავლო და საყოფაცხოვრებო კორპუსები. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია საცურაო აუზის გაკეთება და საერთო საცხოვრებლის გარემონტება.</p> <p>GIPA-ს დახმარებით ნახევარ ჰექტარზე გაშენებულია ვენახი. 10 ჰა სასწავლო მიწის ნაკვეთზე მათივე დახმარებით დათესილია ქერი და ხორბალი.</p> <p>100 მეტრის მოშორებით არსებობს ბუნებრივი გაზის ქსელი. შენობებს გააჩნია ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა, საკუთარი დენის წყარო.</p>



პროგრამები:

სპეციალობა	ადგილების რაოდენობა	სწავლის ხანგრძლივობა	მიღების პირობები	სერთიფიკატი
1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატი	30	2 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
2. ფიტოთერაპევტის თანაშემწევე	15	2 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
	15	1 წელი	ზოგადი საშუალო განათლება	
3. მარცვლეულის გადამუშავების ოსტატი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
4. ავტომობილის ზეინკალ-შემკეთებელი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
	45	6 თვე	ზოგადი საშუალო განათლება	
5. აგროტურიზმის ოპერატორი	15	2 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
	15	1 წელი	ზოგადი საშუალო განათლება	
6. ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
7. ფართო პროფილის მშენებელი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
8. საყოფაცხოვრებო ელ. მოწყობილობების მომსახურე და შემკეთებელი მექანიკისი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
	45	6 თვე	ზოგადი საშუალო განათლება	
9. კომპიუტერული სისტემების ოპერატორი	60	4 თვე	გასაუბრებით	სერთიფიკატი

ახალციხის პროფესიული

სწავლების ცენტრი / 7 /



სახელმწიფო:

“სახელმწიფო განაკვეთის
უმაღლესი ლიცეუმი
მოთხოვნილება. ესა
მიზანი. ჩვის გამოც
გალავნული აქ
ჩოდების დაყვალება.”

ლიც. ლ.

ძძლოლი:

“ჰავაზე გადასაცემი გარე
მანქანით, მიუღავს
მანქანის ცალება.
ამიცომას გაღაწევიც
გავხდე ჩილდენის ნალი
ძძლოლი.”

ილია ჭ.



დირექტორი	ბელა ავალიშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №106 ტელეფონი: (265) 2 11 03 ელ-ფოსტა: farezi@elkana.org.ge
ადგილების რაოდენობა	300
მოკლე ისტორია	სასწავლებელი არსებობს 1977 წლიდან სხვადასხვა სტატუსით (პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, პროფესიული ლიცეუმი). 2007 წელს ჩამოყალიბდა პროფესიული სწავლების ცენტრი.
შენობა, აღჭურვილობა	ოთხსართულიანი შენობა (2474,9 კვ.მ.) - სასწავლო კორპუსი, 14 ადგილიანი სასტუმრო; სახელოსნოები (11608 კვ.მ). უუნქციონირებს შესაბამისად აღჭურვილი 3 სახელოსნო შემდეგი პროფესიებისათვის: 1. ავტომიბილის შემკეთებელი ზეინკალი 2. ავეჯის მხატვრული დამუშავების ოსტატი 3. ელექტროაირშემდუღებელი ცენტრს გააჩნია 44,7 ჰა სახნავ-სათესი და სათიბი მიწის ნაკვეთი.

პროგრამები:

სპეციალობა	ადგილების რაოდენობა	სწავლის ხანგრძლივობა	მიღების პირობები	სერთიფიკატი
1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატი - ფერმერი (მიწათმოქმედი, მეფუტკრე)	15	1,5 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატი - ფერმერი (მეცხოველე, მეფუტკრე)	15	1,5 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
3. ტრაქტორების, ავტომობილებისა და სას. სამ. მანქანების შემკეთებელი, მძღოლი	30	1,5 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
4. ავტომობილის შემკეთებელი მექანიკის. ავტომობილის მძღოლი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
5. ავტომობილის ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი ზეინკალი	15	6 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი

სპეციალობა	ადგილების რაოდენობა	სწავლის ხანგრძლივობა	მიღების პირობები	სერთიფიკატი
6. ავტომობილის ძრავის შემკეთებელი ზეინკალი	15	6 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
7. ელექტროაირშემდუღებელი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
8. შენობა-ნაგებობის ელექტრომონტიორი	15	6 თვე	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
9. საყოფაცხოვრებო ელექტრო ხელსაწყოების შემკეთებელი ზეინკალი	15	1 წელი	ზოგადი საბაზო განათლება	სერთიფიკატი
